# თავისუფალი საქართველო

N41

19-25 ნოემბერი

1996 წელი

ფასი 50 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ჯალათი გასცემს ბრძანებას





ჩვენ მოგვიხდა ისეთ დროში ცხოვრება, როდესაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ჩალასავით სწრაფად და დაუფიქრებლად მიეცემოდა ცეცხლს და იმ ჩალაზე იაფიც კი ღირდა.

ჩვენ ვიგრძენით სამშობლოს სიყვარულისთვის თავგანწირვის სიდიადეც - ეს იყო 1989 წლის 9 აპრილს - და ამას არ ერქვა სიკვდილი!

უკვე მაშინ ჩაგვჩიჩინებდნენ - მოკვდნენ, მოკვდნენ, მოკვდნენ... იტირეთ, იგლოვეთ, გრცხვენოდეთ... მაგრამ ჩვენ ვამაყობდით ჩვენი თავისუფლებით და მისთვის შეწირული გმირებით, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან იმ უბედნიერეს დღეებთან ერთად. და იქნებ ესაა ერთადერთი და ნამდვილი სიცოცხლე ამ მკვდარ სამყაროში...

მას შემდეგ ზღვა სისხლი დაიღვარა, ცოდვილიც და უმანკოც, წავიდა მთელი თაობა გაჩენილი თავისუფლებისთვის. ჩვენ ვიდექით კატასტროფის ზღვარზე და ადამიანი, რომელმაც ალში გაახვია საკუთარი სხეული ამ კატასტროფის შესაჩერებლად, გიჟად მოინათლა. და კატასტროფა მოხდა. არც შეიძლება არ მომხდარიყო იქ, სადაც თავგანწირვას სიგიჟედ მიიჩნევენ, ხოლო ხვრევასა და სისასტიკეს - კეთილგონიერებად.

ჩვენ ისიც გვახსოვს, როცა ერის მღვდელმთავარმა გამოსცა ვერდიქტი - ქართველმა ქართველი არა ჰკლასო. და როცა მოჰკლა, როცა გაწირა - დაუღუმდა ბოროტებას.

დღესაც, მტერ-მოყვარე გაჰყვირის - გაუქმდეს სიკვდილით დასჯა! და სწორედ ამ დროს მიზანშია ამოღებული კიდევ სამი ადამიანის სიცოცხლე - საჯაროდ. ყველას დასანახად კვლავ ისჯებიან ქართველები არჩადენილი დანაშაულისთვის. ყველა ხედავს, ყველამ იცის, ყველა ამბობს და წერს, რომ ეს უსამართლობაა, მაგრამ ვერავინ ვერაფერს აკეთებს, ვერავინ ვერაფერს ცვლის.



ცნობიერებაში, ათასწლეულების მანძილზე, გამჯდარია აზრი, რომ შეიძლება ხელი აღმართო მეორე ადამიანზე: მომხდურ მტერს დაუხვედრო მახვილი, შეურაცხყოფილმა იძიო შური ან აიღო სისხლი მოყვასის სისხლის წილ, გაცხარდე და არ დაინდო; არიან ავაზაკნიც, რომელთაც არ შეუძლიათ არა ჰკლან, ან სულაც გასამრჯელოს იღებენ ამისთვის. მაგრამ რა ჰქვია უსამართლო ძიებით ვითომდა დადგენილი ვითომდა დანაშაულისთვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს, რომელიც არავითარ კანონს არ ეფუძნება, შეთითხნილია, ნაკარნახევი, რა ჰქვია - მართლმსაჯულება, თუ მკვლელობა?!

ალბათ, არიან სიკვდილის ღირსი ადამიანები და, როგორც დრომ გვიჩვენა, არც ისე ძნელი ყოფილა ადამიანის მოკვლა. მაგრამ კიდევ უფრო ადვილი და კიდევ უფრო შემზარავია, იდგე ოქროთი მოვარაყებულ დარბაზში, კოსტუმში გამოწყობილი. ყელს გიმშვენებდეს თეთრი საყელო, იცოდე, რომ უსამართლობას სჩადიხარ - არადა იციან, იციან! - და მაინც მშვიდად ითხოვდე - მოკალით ეს ადამიანები...

ვინ არის ჯალათი ამ ბრძანების გამომცემთან, ამ სიტყვის წარმომთქმელთან შედარებით...

ჩვენ, ყველანი, კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ, ყველა უკლებლივ. და ეს არასოდეს დასრულდება. ტყუილად აქვს ვინმეს იმედი, რომ სამყარო ისე გაუკაცურდება, არ იარსებებს არავითარი პრინციპი, გარდა სისასტიკისა და ბოროტებისადმი მორჩილებისა. რაც არ უნდა დაკნინდეს საერო მართლმსაჯულება, საღვთო კანონი, უფლის სამსჯავრო და ჭეშმარიტება ყოველთვის გვაიძულებს გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის. ადამიანის ნებაა აირჩიოს ერთი ან მეორე, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ბოროტება არასოდეს მოინათლება სიკეთედ, მკვლელობა კი - დამსახურებულ საზღაურად.

ბოროტების მიმდევარი იმავე უსამართლო კანონით დაისჯება. დავისჯებით ჩვენც, თუ გავუჩუმდებით, არ შევებრძოლებით უსამართლობას, უცილობლად დავისჯებით, რამეთუ ბოროტება არავის ინდობს, უპირველესად კი - მხდალებს, მასთან შეგუებულ მონებს.

ამქვეყნად ყველანი სიაში ვართ შეტანილი - ჩვენი ჯერიც დადგება...

*ანა ჭავჭავაძე*

## უკრაინის დეპუტატები ქართველ პოლიტპატიმართა დასაცავად

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბ-ნ ე. შევარდნაძეს
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბ-ნ მ. უგრეხელიძეს

პატივცემულო ბატონებო!

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებას და, მასთან ერთად, უკრაინის პარლამენტარებს, აღელვებთ განუწყვეტელი რეპრესიები 1992-1993 წ.წ. მოვლენებში მონაწილე პირთა მიმართ. ეს ამჟამად, უპირველეს ყოვლისა, ეხება მიმდინარე პროცესებს ზ. ძიძიგურის, ნ. მოლოდინაშვილის, ჯ. ბოკუჩავას, ვ. ქობალიას, ს. ყღენტის, რ. ვანიშვილის, კ. ძიძიგურის, ვ. წერეთელის, ზ. დანელიას, გ. ყორბესაშვილის მიმართ; ზ. ძიძიგურის, ჯ. ბოკუჩავას, ვ. ქობალიას სიკვდილით დასჯის მოთხოვნას; ი. დოკვაძის, პ. გელბახიანის, ბ. ზარანდიას მიმართ გამოტანილ, ჯერაც არგაუქმებულ სასიკვდილო განაჩენებს; მიმდინარე გამოძიებას შ. რატიანის, გ. ონიაშვილის, გ. ნანაძის, გ. გელაშვილის, ზ.დვალის, ზ. ვარდოსანიძის, თ. ელაშვილის, დ.მჭედლიშვილის, ზ. გელაშვილის, ვ. ჩუბინიძის, მ. წიკლაურის, ზ. გუჩუას, ე. მესხიას, კ. ფირცხალავას, ა. რცხილაძის, ტ.გელანტიას, გ. აბსანძის, ნ. ბურჭულაძის მიმართ.

ვუერთდებით ჩვენი კოლეგების - უკრაინის, ევროპის ქვეყნების, აშშ-სა და ავსტრალიის დეპუტატების, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა მიმართვებს მოთხოვნით, გამოიჩინოთ გულმოწყალება 1992 -1993 წ.წ. ხელისუფლების პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გაითვალისწინებს მსოფლიო საზოგადოების პოზიციას და ხელს შეუწყობს კანონიერების, წესრიგისა და ადამიანთა უფლებების განმტკიცებას.

*უკრაინის სახალხო დეპუტატები:*

*ვ. ტერენი, ლ. გოროხოვსკი, ვ. ჩერნოვილი, ფილიპჩუკი, , ლ. ტანიუკი, ვ. კოჟინი, ო. მანჩულენკო, ვ. ალეშინი, ბ. იაროშინსკი, ო. შანდრიუკი, ლ. ლუკიანენკო, ე. პრონიუკი, ვ. ჩემერისი, მ. გორბალი, ბ. გორინ, ბ. ბოიკო, მ. რატუშნი, რ. კრუციკი, ტ. პროცევიატი, ე. ლუპაკოვი, პ. შვიდკი, ლ. გლუხივსკი, ი. ბილასი, გ. დემიანი*

16 ნოემბერი, 1996

მსგავსი მიმართვები გააგზავნეს უკრაინის სახალხო "რუხ"-ის სახელით მისმა თავმჯდომარემ, ყოფილმა პოლიტპატიმარმა, უკრაინის სახალხო დეპუტატმა ვიაჩესლავ ჩერნოვილმა და უკრაინის კომიტეტის - "ჰელსინკი-90" თანათავმჯდომარემ, ვასილ ოვეჩენკომ.

## მოგიწოდებთ, წინ აღვუდგეთ მკვლელობას!

1996 წლის 19 ნოემბერს, 10 საათზე, უზენაესი სასამართლო, ალექსანდრე ალადაშვილის თავმჯდომარეობით, გამოაქვეყნებს პოლიტპატიმრების - ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას, ვახტანგ ქობალიას (ბრალმდებელმა მოითხოვა მათი სიკვდილით დასჯა), ნუგზარ მოლოდინაშვილის (ბრალმდებელმა მოითხოვა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა) განაჩენს.

მოგიწოდებთ, პოლიტპატიმართა მხარდასაჭერად მობრძანდეთ უზენაესი სასამართლოს შენობასთან (ზუბალაშვილების 32, ყოფილი ათარბეგოვის).

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, საქართველოს ნაციონალურ-კონსერვატიული პარტია, საქართველოს ნეოკონსერვატიული პარტია, ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება, აგრარული უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება, საქართველოს მთიელთა კავშირი, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება, საქართველოს სახალხო საკრებულო

# სავალდებულო "გაბრძოლება" დიდი დაზავების წინ

"ომის გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ - აფხაზეთის შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროები და შინაგანი ჯარები ამ მიზნით შევქმენით. ისინი რამდენიმე ათას კაცს ითვლიან" - განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თ. ნადარეიშვილმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებისა და სეპარატისტთა რეჟიმის მიერ ატეხილ ჰარმონიულ აჟიოტაჟში ნადარეიშვილი ხშირად სოლისტის როლს ასრულებს. მისი, როგორც კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის მომხრე "პოლიტიკური ფიგურის" სახე კარგა ხანია გამოკვეთა მმართველმა რეჟიმმა. ნადარეიშვილის საბრძოლო განწყობილება, "პოლიტიკური გამჭრიახობის" გარდა, შიშველ მორალიზებასაც ეფუძნება: "უზნეობაა არძინბასთან მოლაპარაკება (თუმცა, დიდი დიპლომატი არ გაურბოდა ამ დიალოგს), როგორ შევხედო ხალხს თვალებში" - დაახლოებით ასეა წარმოდგენილი მორალისტური ტენდენცია ნადარეიშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს ზნეობრივი პოსტულატები დაედება საფუძვლად მოვლენების შემდგომ განვითარებას კონფლიქტის ზონაში.

საქართველოში არსებული კონფლიქტების ირგვლივ არსებული სიტუაცია, ერთი შეხედვით, უცნაურია: ხელისუფლება, რომელიც ასე "მწვავედ" რეაგირებს 23 ნოემბრის არჩევნებზე, სრული სიმშვიდით შეხვდა ცხინვალის რაიონში პრეზიდენტის არჩევას. მეტიც - უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ჩიბიროვის გაპრეზიდენტება ედუარდ შევარდნაძის მორიგ გამარჯვებად და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯად გამოცხადდეს. გავიხსენოთ მოარული აზრი იმის თაობაზე, რომ ჩიბიროვის პრეზიდენტად არჩევა "სამხრეთ ოსეთის" სამუდამოდ საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას ნიშნავს... გაბარაევის არჩევა უკეთესი იქნებოდა ოსებისთვის, უარესი - საქართველოსთვის და ა.შ. ეს პროპაგანდა სავსებით აკმაყოფილებს "დიდი პოლიტიკოსის" ამპარტავნობას.

აფხაზეთის არჩევნებთან დაკავშირებით კი სულ სხვა სიტუაციაა და უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის გაჩაღებული ალებმიცემობის პროცესი ამ პრობლემის გარშემო ტრიალებს. საყურადრებოა, რომ ამ სიტუაციაში შევარდნაძის მონუმენტური ფიგურა სულ

**საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის თავზე ისევ შავ ღრუბლებს ჰკრებს. ამ ახალ სპექტაკლში, რომლის პრემიერაც, ალბათ, მალე შედგება, როლები უკვე განაწილებულია**

უფრო უკანა პლანზე გადადის. ამის პირდაპირპროპორციულად იზრდება დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აქტივობა, რასაც სათანადო სტიმულს აძლევს პარლამენტის სპიკერის "უკომპრომისო", "რადიკალური გამოხდომები" რუსეთის პოლიტიკოსთა წინაშე.

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ აფხაზების არჩევნების საპასუხოდ გატარებულ ღონისძიებათა შორის ორი უმთავრესი გამოიყოფა: პლებისციტი დევნილ მოსახლეობაში და ცოტა ხნის წინ ქართველ პოლიციელთა დაბანაკება სენაკში (სხვათა შორის, ამავე განზრახვით დასავლეთისკენ დაძრულ კიტოვანს, გზის გაგრძელების უფლებასთან ერთად, თავისუფლებაც აღუკვეთეს). პირველი მათგანი - პოლიტიკურად მომგებიანი, "მშვიდობიანი", რომელიც, თურმე, კიდევ ერთხელ გააკოტრებს სეპარატისტულ რეჟიმს მსოფლიოს თვალში და რომლის მაღალ დანიშნულებასაც უბრალო მოკვდავნი ჯერ ვერ მიმხვდარან, პირველ ყოვლისა, დიდი დიპლომატის სახელთანაა დაკავშირებული და შეიძლება ითქვას, რომ მას ამ ღონისძიებაზე საავტორო უფლებაც აქვს. რაც შეეხება მეორე ღონისძიებას - შეიარაღებული ძალების გადაადგილება სენაკის მიმართულებით - არსით იგი ძალზე ახლოსაა ნადარეიშვილის პოზიციასთან, მაგრამ ჯერჯერობით ბუნდოვანია, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ფრიად საეჭვო პერსპექტივის მქონე აქციის გამო, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, აუცილებლად მოჰყვება მდგომარეობის გამწვავება, რაც თავის მხრივ დასაბამს მისცემს კონფლიქტის ახალ ესკალაციას (შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ დასავლეთისკენ ძირითადად აფხაზეთიდან დევნილი პოლიციის ნაწილები გაიგზავნა). ძნელი მისახვედრი არაა, რას მოიმოქმედებენ ამ სიტუაციაში რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელთაც, ნადარეიშვილის თქმით, უკვე მიიღეს განკარგულება აფხაზეთის არჩევნების ჩატარებაში მონაწილეობის მიღების შესახებ (მოძმე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც - სახელმწიფო დუმის დეპუტატები - ჩასულან აფხაზეთში მეთვალყურეებად).

საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილებაზე პასუხისმგებლობას კონკრეტულად არავინ იღებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ამ სიტუაციაში რამდენადმე განაპირობებს არჩევს და ასპარეზს ნადარეიშვილს უთმობს, გვაფიქრებინებს, რომ კონფლიქტის ხელახალ ესკალაციას ამჯერად ახალი ინსპირატორი გამოუჩნდება ნადარეიშვილის სახით. მის საბრძოლო შემართებას დღეს თითქმის იმგვარივე გაქანება ეძლევა, როგორიც - რამდენიმე წლის წინ "სარკინიგზო მაგისტრალების დასაცავად" დაძრული შეიარაღებული ნაწილების ხელმძღვანელობას. საყურადღებოა რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის, იაკუშევის განცხადება - 23 ნოემბერს მისი ნაწილები მშვიდობის დამყარებას გალის რაიონში უზრუნველყოფენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე არ შეიყვანს სამხედრო ფორმირებებს ზუგდიდში. ქართული მხარე კი, რომელსაც საერთოდ არ ახასიათებს რუსებისადმი ურჩობა, ამჯერად აშკარად აღნიშნული მოთხოვნის საპირისპიროდ ირჯება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან თავისი ნაწილების ზუგდიდში შეყვანასთან დაკავშირებით, რაზედაც, ბუნებრივია, უარი მიიღო. ზ. ერქვანია კი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი საჯარისო ფორმირებების ნებისმიერი გადაადგილება კონსტიტუციურია. ამას ერთადერთი ქვეტექსტი შეიძლება ჰქონდეს - საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელმაც კარგა ხანია "აითვალწუნა" სამშვიდობო ძალების სარდალი, ყურს აღარ უგდებს მის გაფრთხილებას (მით უმეტეს, რომ შემცვლელი უკვე მოძებნილი ჰყავთ რუსებს). ეს, ერქვანიას აზრით, კონსტიტუციური იქნება, მაგრამ საბოლოო შეფასებას ამ ნაბიჯს მოგვიანებით მისცემს ფაქტობრივი ხელისუფლება და "აღმოჩნდება", რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედება "პოლიტიკურად გაუმართლებელი", "მიუღებელი", მეტიც, დანაშაულებრივი იყო... შესაბამისად, კიდევ ერთხელ "დადასტურდება" "დიდი დიპლომატის" უცდომელი ალღო და კიდევ ერთ გამარჯვებას იზეიმებენ პლებისციტის და მსგავსი უსუსური, "ცივილიზებული" ღონისძიებების მეხოტბენი... რაც შეეხება იმას, თუ რას მოიმოქმედებენ საჯიროების შემთხვევაში ნადიბაიძის გაწვრთნილი მოლაშქრეები, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. საქართველო კიდევ ერთხელ "დაამტკიცებს" თავის უძლურებას და ე. შევარდნაძეც თავის მისიას აფხაზეთში ამოწურავს.

ამ ფონზე ფრიად საინტერესოა ზ. ქვანიას როლი სცენარში. მის ქმედებაში თავმოყრილი და შეზავებულია ორივე პოზიცია - რუსეთთან "მკაცრი", "შეურიგებელი" ტონით ლაპარაკის აუცილებლობა [illegible] ის მშვიდობიანი გზით [illegible] რების შევარდნაძისეული თეორია.

- "აფხაზეთი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა - ეს ის პრობლემებია, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს სამხედრო თანამშრომლობას" - ორაზროვნად "ემუქრება" ყვანია რუსებს. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებით საქართველოში უფრო არიან აღელვებულნი, ვიდრე რუსეთში. ეს ბუნებრივიცაა - რუს "მეგობრებს" არ აფრთხობთ ქართველი სპიკერის ფახიფუხი, რადგან შესანიშნავად იციან, რომ ყვანიას "ულტიმატუმები" სხვა არაფერია, თუ არა მორიგი სავალდებულო "გაბრძოლება" კიდევ ერთი დიდი დაზავების წინ. რუსების ტონი ამჯერად ბევრად უფრო მოზომილია - ჩვენც უკმაყოფილონი ვართ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესით - ამბობენ ისინი, და ამ უკმაყოფილების ერთადერთი გამოხატულება, ალბათ, იაკუშევის სხვა გენერლით ჩანაცვლება იქნება. გარდა ამისა, ყვანიას "რადიკალიზმი" ფრთებს ასხამს ნადარეიშვილის აღტყინებას - საქართველოს მმართველი რეჟიმი მორიგ განტევების ვაცს ცენტრისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ერთიანობის ილუზიას უქმნის. მაგრამ ეს უკანასკნელი ისეა გართული "პატრიოტობანას" თამაშით, ვერც კი ამჩნევს, რომ იგი მხოლოდ იარაღია მმართველი რეჟიმის ხელში, რომელსაც კიდევ ერთხელ მიმართავს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის თავზე ისევ შავ ღრუბლებს ჰკრებს. ამ ახალ სპექტაკლში, რომლის პრემიერაც, ალბათ, მალე შედგება, როლები უკვე განაწილებულია: არძინბა - სეპარატისტთა პირსისხლიანი ლიდერი, რომელიც უკანონო არჩევნებით ცდილობს თავისი სისასტიკის დაკანონებას, რუსეთი - მხარეთა "ჯიუტობით" გაბრაზებული მომრიგებელი, ნადარეიშვილი - ახალი განტევების ვაცი, ყვანია - შეუვალი, უკომპრომისო, მაგრამ გონიერი დესპანი, განტევების ვაცის სტიმულატორი და შევარდნაძე - შეუმცდარი დიპლომატი - კიდევ ერთხელ "მარტოდ დარჩენილი" და "მოძმეთაგან გაწირული", რომელიც, მიუხედავად ამისა, ამჯერად გადარჩება.

*ნუგზარ წიკლაური*

# ჩიბიროვის და არძინბას "იმედის არჩევნები"

1992 წლის 11 ოქტომბრის "იმედის" არჩევნები მართლაც რომ უმნიშვნელოვანესად ტრაგიკული თარიღი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. ეს გახლდათ იმ უდიესი უსამართლობის დაკანონების პირველი მცდელობა, რომელმაც მომავალში პერმანენტული სახე მიიღო და დღემდე წარმატებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მისი ბოიკოტირება და ჩაშლა მაინც ვერ მოხერხდა. მაშინ უკანონობამ იზეიმა ავტომატებისა და "ბეტეერების" საიმედო ესკორტის თანხლებით. ეს გახლდათ იმის უვერტიურა, რომ ამის შემდეგ საქართველოში ის სამართლებრივი მექანიზმი იმუშავებდა, რომელიც ძალადობით მოსულმა ხელისუფლებამ შეიმუშავა. ამგვარი სამართლებრივი მექანიზმის წყალობით, სულ რაღაც 4 წელიწადში, ხუნტამ ყველაფერი იმპერიის პოლიტიკის სასარგებლოდ დააკანონა, ხოლო არსებული ხელისუფლების იურისდიქცია ქვეყნის ტერიტორიის ერთ მესამედზეც კი აღარ ვრცელდებოდა.

არსებული ხელისუფლების განსაცვიფრებელი გულუხვობის გათვალისწინებით, ბოლო დროს განსაკუთრებულად პოპულარული გახდა დარჩენილი ქართული მიწების გასხვისება და დაკანონება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე, რომელთაც, როგორც წესი, რუსეთი უდგას უკან.

სამაჩაბლოში სულ ახლახან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების საზეიმო ყიჟინას, ახლა აფხაზეთმა მისცა ხმა. მით უმეტეს, რომ აფხაზ სეპარატისტებს საქართველოს ხელისუფალთათვის მცირედი უკმაყოფილებაც კი არ შეუმჩნევიათ. პირიქით, ედუარდ შევარდნაძე იმ "მეფის" როლში მოევლინათ, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს, რომ "თავისი შვილნი, თვის სიცოცხლეში დააბინაოს". შიდა ქართლს უკვე ჰყავს "კანონიერი" პრეზიდენტი, ხოლო 23 ნოემბერს აფხაზეთსაც ეყოლება თავისი პატრონი, რომ არაფერი ვთქვათ იმ რეგიონებზე, რომლებიც უომრად გაიპარნენ საქართველოს შემადგენლობიდან.

აი, თურმე რას გულისხმობდა ედუარდ შევარდნაძე, როდესაც 11 ოქტომბრის არჩევნებს "იმედის" არჩევნები უწოდა და ამით რუსეთის ხელისუფლებას უტყუარი იმედი მისცა, რომ მისი სტრატეგიული გეგმა კავკასიაში სულ მოკლე ხანში წარმატებით განხორციელდებოდა. ახლა კი მთავარია, რომ ყველაფერი ეს დაკანონდეს.

შევარდნაძის გამეთაურებისა და გაპრეზიდენტების მაგალითზე, არძინბასა და ჩიბიროვს შესანიშნავი საშუალება მიეცათ, იგივე მეთოდებით - კანონისა და ხალხის აზრის იგნორირებით - ძალადობით მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში. მით უმეტეს, რომ მათი ქმედებები დედაქალაქში არცთუ ისე ოდიოზურად აღიქმება. აქ გაცილებით მეტ აჟიოტაჟს ქმნის შუფუტინსკისა და არბაკაიტესის საგასტროლო კონცერტები, უფრო მეტ ვნებათაღელვას იწვევს "მანას" ფესტივალი და "კინოტავრი", ხოლო ხელოვნური პალმები და ქუჩებში სავაჭროდ გამოსული ლტოლვილები აფხაზეთის "ტრაგიკულ" მეტაფორად რჩება. ჩვილი ბავშვებივით მოტყუებული, "იმედის" არჩევნებისთვის თავდადებული ბიჭები ბრძოლისთვის კი არ ემზადებიან, არამედ, პეიჯერებით აღჭურვილნი, საქმიანად ესაუბრებიან ერთმანეთს "ევროპიდან" "მეტეხში".

ხოლო ამ დროს ფართოვდება და ძლიერდება რუსეთის სუვერენიტეტი საქართველოში და თბილისის მიღმა დარჩენილ სივრცეს წარმატებით იკავებს... იმედიანად მოემართება დედაქალაქისკენ.

*ქ.ქ.*

# გაურკვევლობა რუსეთის პოლიტიკურ ოლიმპზე

## ვინ არის ბერეზოვსკი - პოლიტიკოსი, თუ ფინანსური მაგნატი?!

**ბორის ბერეზოვსკი, ისრაელის თუ რუსეთის მოქალაქე, ერთი კვირის მანძილზე უკვე მეორედ იყო თბილისში და შეხვდა შევარდნაძეს.**

ამ ფაქტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და სამართლიანადაც: რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოადგილე ბერეზოვსკი დღეს, ფაქტობრივად, ცვლის გენერალ ლებედს ჩეჩნეთ-რუსეთის მოლაპარაკებებში და ისიც ნათელია, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელი ივან რიბკინი მხოლოდ ფორმალური ფიგურაა.

ამ ბოლო დროს ბერეზოვსკიმ კავკასიის საკითხის თაობაზე აწარმოა მოლაპარაკებები არამხოლოდ უშუალოდ კავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელებთან, არამედ შუა აზიის, კერძოდ, ყაზახეთის პრეზიდენტთანაც და სწორედ ნაზარბაევთან ვიზიტის შემდეგ, მეორედ მოევლინა თბილისს. ჟურნალისტთა შეკითხვაზე, რითია გამოწვეული მისი მოხშირებული სტუმრობა საქართველოში, ბერეზოვსკიმ დიპლომატიურად იცულლუტა - "მე აქ ძალიან მომწონს".

ნათელია, რომ ჩეჩნეთის მიმართ გამომუშავებული რუსეთის ახალი პოლიტიკა, რომლის გამკვალავიც იყო ალექსანდრე ლებედი, გულისხმობს ამ მებრძოლი და დაუმორჩილებელი ქვეყნის გარშემო ფართომასშტაბიანი კორდონის შექმნას, რომელშიც იმპერიას გარანტირებული ექნება როგორც უშუალო მეზობლობაში მყოფ ქრისტიანულ, ისე მოშორებულ მუსულმანურ სახელმწიფოთა სრული მხარდაჭერა, ანუ მთელი მომიჯნავე სამხრეთის ზოლის შეთანხმებული მოქმედება.

მაგრამ ამ კონტექსტში საინტერესოა თავად ბერეზოვსკის პიროვნება, რომლის დაწინაურებას უკვე მოჰყვა სკანდალური აჟიოტაჟი: კერძოდ, ითქვა, რომ დაუშვებელია მისი დანიშვნა რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოადგილის პოსტზე, ვინაიდან იგი ისრაელის მოქალაქეა. ამ შეკითხვაზე რუსეთის შსს მინისტრმა, კულიკოვმა, აშკარად შეგნებულად, ბუნდოვანი პასუხი გასცა: "არის თუ არა ბერეზოვსკი ისრაელის მოქალაქე, ამის შესახებ დაეკითხეთ ისრაელის მინისტრს, მე კი შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ რუსეთის მოქალაქე იგი ნამდვილად არ არის." ბუნებრივია ისიც, რომ რიგი მიმომხილველები უმალ შეეცადნენ, ეს საკითხი ანტისემიტიზმის კუთხით წარმოეჩინათ, თითქოს პრეტენზიას ბადებდა არა ის ეჭვი, რომ ერთი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ლამის უმაღლეს ორგანოს მეორე ქვეყნის მოქალაქე განაგებდა, არამედ მისი ეროვნული წარმომავლობა. მავანთაგან გაისმა ისიც, რომ ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნამდე, ბერეზოვსკი დიდ და არცთუ ისე სუფთა ფულებს ატრიალებდა, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ბიზნესმენია რუსეთში და ეს უთუოდ დაამჩნევს კვალს მის პოლიტიკასაც ჩეჩნეთთან მიმართებაში.

და, აი, ბოლოს ვიქტორ ჩერნომირდინმა, რუსეთის დუმაში გამოსვლისას, ასევე საკმაოდ დიპლომატიურად "ჩაუშვა" ჩეჩნეთ-რუსეთს შორის ახალი მედიატორი, შეეხო რა ტელევიზიის ფინანსირების პრობლემას. მან ვითომ გაკვრით მოიხსენია - "იმასაც ამბობენ, რომ "ორტ" ბერეზოვსკის არხიაო. აი, ჩვენ ახლა შევცვლით იქ რიგ ხელმძღვანელებს და ეს პრობლემაც მოგვარდებაო". რას ნიშნავს ეს - მუქარას, თუ ხელის დაფარებას, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

მაშ ასე, რუსეთის პოლიტიკურ ოლიმპზე კვლავ გაურკვევლობა სუფევს: გაურკვეველია, ვინ მართავს რეალურად ქვეყანას, გაურკვეველია მათი ვინაობაც კი, ვინც თითქოსდა მართავს. ისიც კი გაურკვეველია, რომელი ქვეყნის მოქალაქენი არიან ეს რეალური თუ ფორმალური მმართველნი. მით უფრო გაურკვეველია, საით მიექანება ეს აგრესიული მინისტრი და, შესაბამისად, საით მიაქანებს მასზე გამობმულ ქვეყანას.

*ირაკლი დგებუაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "დიდპოლიტიკოსობის" რეციდივები ფეხბურთის მინდორზე

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა გმირის მანტიამოსხმულ ჩვენს ფეხბურთელებს ხან დავით აღმაშენებელს ადარებდნენ, ხან - გიორგი სააკაძეს. ეგ კი არა, იმის მომსწრენიც კი ვიყავით, ე.წ. სპორტული პოეტები რომ წერდნენ - "ჩვენს კარებს იცავს გმირი არსენა, გოლეადორად გვყავს გორგასალი"-ო.

9 ნოემბერს გამართულ საქართველო-ინგლისის "ისტორიული" მატჩის წინაც არ დაჰკლებიათ "ჩვენს ბიჭებს" ხოტბა-დიდება. მართალია, ახალი პოეტური შედევრები არ შექმნილა, მაგრამ ესეც მხოლოდ იმას შეიძლება დაჰბრალდეს, რომ პროვინციული უწესრიგობიდან ახალ მსოფლიო წესრიგზე გადასვლა, საზეიმოდ შეპირებული მარკა-დოლარიანი სიუხვის ნაცვლად, ტანჯვის ეკლიანი გზით მოუხდა კომუნისტურ პრივილეგიებს შეჩვეულ შემოქმედებით ინტელიგენციას.

ასეა თუ ისე, ამ მატჩის წინ ვნებები დუღდა და გადადუღდა. შესაბამისი ფონიც მომზადებული იყო. ჯერ იყო და, გასაცოდავებულ მოსკოვის "ტორპედოსთან" გამარჯვება ლამის ბასიანთან და დიდგორთან გაიგივდა, ხოლო შემდეგ, იტალიასთან მარცხიც კი ტაქტიკურ და იდეოლოგიურ გამარჯვებად იქნა მონათლული: კოტე მახარაძემ მოუწოდა კიდეც ქართველ ხალხს, აეროპორტში წასულიყვნენ ქვეყნის მადიდებელი ფეხბურთელების დასახვედრად.

სწორედ ამ ამაღლებული განწყობილებით, მილიციის ცხრამაგ კორდონებში გაჭირვებით მიძვრებოდნენ იმედიანი თბილისელები და ჯერ კიდევ არ უწყოდნენ, თუ რა დამჟავებულები წაჩანჩალდებოდნენ სახლში ორიოდ საათის შემდეგ და სინანულით გაიხსენებდნენ ამ სამაგალითო მარცხის საყურებლად გადახდილ ოც ლარს.

ანგარიში - 2:0, სრულად ვერ ასახავს ინგლისელთა უპირატესობას საქართველოს ნაკრებზე. შეხვედრის შემდეგ ბრალდებათა ზღვა მიაწყდა ნაკრების ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ფეხბურთის ფედერაციას... ით! [illegible]ვეს მოხსნას, გააქმებას, გაგდებას. მთავარ [illegible]ადაც მაინც ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე იქცა. უნდა ითქვას, რომ თვითონ ჩივაძეც დროს უქმად არ კარგავდა და გამეტებით ლანძღავდა საკუთარ ფეხბურთელებს: არ ითამაშეს, ყველაფერი მაგათი ბრალია, მე არ გადავდგებიო.

მართლაც, რაშია ჩივაძის დანაშაული? მშიერი ქვეყნის სახელდახელოდ შეკოწიწებული ნაკრების მშიერმა ფეხბურთელებმა დათმეს მატჩი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის, ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისის ნაკრებთან - ნუთუ ეს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო?! ან კი რა სფეროში აქვს საქართველოს მიღწევები, გარდა პოლიციელთა რაოდენობის ზრდისა (რაც ამ მატჩზეც თვალშისაცემი იყო), რომ მაინცდამაინც ფეხბურთში ჰქონდეს?!

ცხადია, სახელმწიფო მეთაურისა და სხვა მაღალჩინოსანთა გაწბილება (თამაშს გენპროკურორის მოადგილე, ბრალდებათა დიდოსტატი რევაზ ყიფიანიც ესწრებოდა) ასე იოლად არ უნდა შერჩეს უპასუხისმგებლო მწვრთნელსა თუ ფეხბურთელს. თუმცა, სხვა ქვეყანაში შეიძლება ჩივაძე გადასაყენებელიც ყოფილიყო მწვრთნელის პოსტიდან, მაგრამ იქ, სადაც სახელმწიფო მეთაური, მტრის ტექნიკით, პირველი მობუნძულებდა ბრძოლის ველიდან და ათასობით უმწეო ადამიანს ცეცხლის ალში ტოვებდა ბედის ანაბარად; მორბოდა იმ ომიდან, რომლის შედეგებზეც პასუხისმგებლობა მან არაერთხელ საჯაროდ აიღო საკუთარ თავზე, ერთი წაგებული მატჩის გამო მწვრთნელისთვის ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა გაოცებასაც კი იწვევს.

ჩვენი ქვეყნის მმართველმა მტერს ჩააბარა აფხაზეთი, სამაჩაბლო, ააწიოკა სამეგრელო, დანარჩენი საქართველო კი შიმშილისა და სიცივისთვის გაწირა და თუ მას არ მოეთხოვება პასუხი ყველა ამ უბედურებაზე და მაინც დიდ პოლიტიკოსად რჩება, მაშინ ჩივაძე რა დაბალი დობე ნახეს - ისიც დარჩეს დიდ მწვრთნელად.

საქმეც სწორედ იმაშია, რომ ჩივაძის მიერ ფეხბურთელებისადმი გამოთქმული ბრალდება და განცხადება არგადადგომაზე, არსებითად, სპორტული ვარიაციაა უმაღლესი ტრიბუნიდან გაკეთებული ანალოგიური განცხადებებისა - როდესაც დამნაშავე და მოღალატეა მთელი ერი, ერთი კაცის გარდა. ასე რომ, ერთადერთი ბრალდებაა ჩივაძის მიმართ, რომელიც შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს - შევარდნაძის ეპიგონობაა.

*ნ. წიკლაური*

## პოლიტპატიმარ ზურაბ წირღვავას ბედი გაურკვეველია

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ე.წ. "კავსაძის გატაცების საქმესთან" დაკავშირებით 1992 წელს დაპატიმრებული ზურაბ წირღვავა, რომელსაც წინასწარი ძიების დროს წამების შედეგად დაერღვა ფსიქიკა და ამის გამო არ იქნა განსჯილი, ერთი კვირის წინ შსს ფოთის სპეციალიზებული ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გადმოიყვანეს თბილისის #1 იზოლატორში. განაჩენისამებრ ის იგი უნდა წარედგინათ სპეციალური კომისიისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, შემოწმება გადატანილი იქნა 20 ნოემბრისთვის. როგორც ჩანს, იმისდა მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამედიცინო კომისია, ზურაბ წირღვავას საქმე ან გადაეგზავნება სასამართლოს, ან მას კვლავ დააბრუნებენ ფოთის სპეცსაავადმყოფოში.

გაოცებას იწვევს, რომ ფსიქიკური აშლილობით ამდენი ხნის განმავლობაში საავადმყოფოში მყოფი პატიმარი გადმოიყვანეს არა შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, არამედ საგამომძიებლო იზოლატორში, სადაც არსებული პირობები, ნორმალური ჯანმრთელობის ადამიანისთვისაც კი, შეიცავს ფსიქიკური აშლილობის საფრთხეს.

# მანიფესტი, რომელიც გაათავისუფლებს პოლიტპატიმრებს

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტმა, გიორგი კერვალიშვილმა, 1996 წლის 23 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენ არაერთხელ მივმართეთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მოთხოვნით სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ამ ჰუმანური მოთხოვნის შესრულება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას და სხვა ევროპულ სტრუქტურებში შესვლას. დღეს ქვეყანაში 50-მდე სიკვდილმისჯილია, რომელთაგან სამი: პეტრე გელბახიანი, ირაკლი დოკვაძე და ბადრი ზარანდია პოლიტპატიმრები არიან. ხელისუფლება და მისი მარიონეტი სასამართლო არათუ ითვალისწინებენ საზოგადოების აზრს ამ მოთხოვნის შესახებ, არამედ 1996 წლის 7 ოქტომბერს პროკურორმა მოითხოვა პოლიტპატიმრების - ზვიად ძიძიგურის, ვახტანგ ქობალიას და ჯამბულ ბოკუჩავას სიკვდილით დასჯა, რითაც კიდევ ერთხელ ცხადდება, რომ არსებული ხელისუფლება არ არის მოწოდებული სიკვდილით დასჯის, ანუ თავად სახელმწიფოს მიერ ადამიანთა მკვლელობების, ანტიჰუმანური კანონის გაუქმებისთვის.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია აცხადებს მზადყოფნას კვლავაც უკომპრომისოდ, მთელი შესაძლებლობებით, მშვიდობიანი მეთოდებით იბრძოლოს სიკვდილით დასჯის აღკვეთისთვის საქართველოში და, ამასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს დაიწყო საპროტესტო მჯდომარე აქცია - შემდეგი მოთხოვნებით:

1. გაუქმდეს სიკვდილით დასჯა საქართველოში.
2. ხელისუფლებამ დაუყონებლივ მიიღოს მანიფესტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას.

მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებებს და ინსტიტუტებს, საქართველოს დემოკრატიულ საზოგადოებას, მხარი დაგვიჭირონ და დაგვეხმარონ ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში.

*სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი*

*გიორგი კერვალიშვილი*

## ურთიერთგამომრიცხავი ცნობები აფხაზეთის გარშემო

ვასილი იაკუშევმა განაცხადა, რომ 23 ნოემბრის "არჩევნების" დროს, გალის რაიონში მას შეუძლია სიმშვიდე დაამყაროს იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე არ შეიყვანს თავის შეიარაღებულ ფორმირებებს ზუგდიდის რაიონში, რაც, მისი აზრით, აფხაზი სეპარატისტების გაღიზიანებას გამოიწვევს.

* * *

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა, 15 ნოემბერს ისრაელის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან, ლილი ხახამთან შეხვედრისას განაცხადა, რომ "რუსეთის სამშვიდობო ძალებმა მიიღეს განკარგულება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაში". მან აგრეთვე აღნიშნა, რომ აფხაზეთში უკვე დაიწყეს ჩამოსვლა დამკვირვებლებმა რუსეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, აგრეთვე რუსეთის დუმის დეპუტატებმა.

"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რუსეთს ართმევს საშუამავლო უფლებებს კონფლიქტის მოგვარების საკითხში, ვინაიდან იგი მისი უშუალო მონაწილეა"- დასძინა მან. მისი აზრით, სამშვიდობო მისია თავის თავზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა აიღონ.

* * *

"აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული არჩევნები წარმოადგენს პროვოკაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს და ძალიან ჰგავს ყოფილი საბჭოთა კავშირის არჩევნებს, როცა გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი" - განაცხადა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის ხელმძღვანელმა აფხაზეთში, გენერალმა პერ კალსტრომმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, ვარდიკო ნადიბაიძესთან შეხვედრის დროს. მისი აზრით: "აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა თავისივე გარემოცვის გავლენის ქვეშ მოხვდა და თანდათან კარგავს სიტუაციაზე კონტროლს."

* * *

როგორც ცნობილი გახდა, გალის რაიონის სოფელ თაგილონის საშუალო სკოლის შენობაში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ოფიცერმა დონეცკიმ განაცხადა, რომ მის შენაერთებს სამშვიდობო ძალების მთავარსარდლობამ დაავალა ყოველმხრივ დაეხმაროს და ხელი შეუწყოს აფხაზეთის მიერ არჩევნების ჩატარებას. ასეთივე განცხადება გააკეთეს ანაკლიის საგუშაგოს ოფიცრებმა. სოფელ პიჩორის საგუშაგოზე გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას აუკრძალეს ენგურის აქეთ, ზუგდიდის რაიონში გადმოსვლა.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ვარდიკო ნადიბაიძემ, გენერალ პერ კალსტრომთან საუბარში განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში, გენერალ ბაბენკოვის სახით, რუსეთის სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში თავისი მეთაური ეყოლებათ. მინისტრის თქმით, მალე განახლდება მოლაპარაკებები სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოების შესახებ.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის ცნობით, 14 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეხება სეპარატისტების მიერ აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებს.

რეზოლუციაში გათვალისწინებულია რეგიონში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა. ევროპარლამენტი ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთში არჩევნების გამართვა შესაძლებელია მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და რეგიონის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ.

## ოსები უკანონო არჩევნების "დაკანონებას" ცდილობენ

14 ნოემბერს გაიმართა "სამხრეთ ოსეთის" უმაღლესი საბჭოს სხდომა. სიტყვით გამოვიდა "სამხრეთ ოსეთის" ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბორის ჩიჩოევი. მან დეპუტატებს 10 ნოემბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები წარუდგინა და ლუდვიგ ჩიბიროვს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა.

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა, ახსარბეკ გალაზოვმა, მისალოცი წერილი გაუგზავნა "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტს, ლუდვიგ ჩიბიროვს. წერილში გალაზოვი ულოცავს ჩიბიროვს პრეზიდენტად არჩევას, უსურვებს წარმატებებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში, "სამხრეთ ოსეთის" ეკონომიკურ აღორძინებაში და ჩრდილო ოსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში.

## ნუთუ რუსეთი დათმობს იმპერიულ ამბიციებს?

რუსეთის ერთ-ერთმა ფონდმა "საზოგადოებრივი აზრი" გამოიკითხა აზრი ჩეჩნეთში მიმდინარე ომის ირგვლივ. გამოკითხულთა 64 პროცენტმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთში მშვიდობის შენარჩუნება რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია, 25 პროცენტი საწინააღმდეგო აზრისაა. საინტერესოა, რომ მშვიდობის მომხრეთა პოზიცია უფრო მტკიცე ჩანს, ვიდრე იმათი, ვინც სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას ომის ფასად აპირებს.

## თბილისური ელიტა სხვადასხვა რაკურსში

იმით შეწუხებული სტუდენტები, რომ საქართველო უპატრონო ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებს, ელდარ შენგელაიამ ასე მოიგერია: "მე თქვენ უკვე დაგელაპარაკეთ, მე წინააღმდეგი ვარ ყველაფრის, რასაც თქვენ აკეთებთ. არ მაინტერესებს თურქული უნივერსიტეტის საკითხი (...) სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც..."

გაზეთ "რეზონანსის" ცნობით, ოთარ ჭილაძის ახალი რომანი "აველუმი" ვერ იყიდება. ავტორის აზრით, ამის მიზეზი წიგნის მაღალი ფასია.

გაზეთ "ახალი თაობისთვის" (#190(367), 13 ნოემბერი,1996) მიცემულ ინტერვიუში რეჟისორმა ქეთევან დოლიძემ განაცხადა, რომ "ოთარ მანდილს" შარშან, მთელი ზამთრის განმავლობაში, გლდანელი ბავშვები ყოველ პარასკევს დასაბანად დაჰყავდა "მეტეხი პალას ოტელში".

ჯაბა იოსელიანმა უარი განაცხადა, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. პრემიის საძიებლად წარდგენილი იყო ყოფილი საზოგადო მოღვაწის რომანი "ლიმონათის ქვეყანა".

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს სოციალისტების ლიდერის, ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლემ, 13 ნოემბერს, გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა ხელჩანთა, რომელშიც 5 000 დოლარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენება სპეციალურად გაკეთდა ეუთოს შემაჯამებელი კონფერენციისთვის, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და ახდენს რევიზიას იმისა, თუ როგორ იცავენ წევრი-სახელმწიფოები აღებულ ვალდებულებებს. კონფერენცია ამჟამად ვენაში მიმდინარეობს - გაიხსნა 3 ნოემბერს და 30 ნოემბრამდე გაგრძელდება. მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, დაურიგდება კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენლებს.

# ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის მოხსენება

## საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

### 1. ბ) აზრის გამოთქმისა და პრესის თავისუფლება

#### აზრის გამოთქმის თავისუფლება

საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია განიცდის შევიწროებას. ხშირია დაპატიმრებები, წამებისა და უხეში ძალადობის ფაქტები, მკვლელობის შემთხვევები. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ადგილობრივი დამკვირვებლები 1996 წლის თებერვლის მონაცემებით ასახელებენ, სულ ცოტა, 84 პოლიტპატიმარს, რომელნიც ან სასამართლოს ელოდებიან, ან უკვე გასამართლდნენ და მისჯილი აქვთ სასჯელის სხვადასხვა ზომა სამი სასიკვდილო განაჩენის ჩათვლით. დამკვირვებლები ხაზს უსვამენ, რომ, შესაძლოა, დასახელებული ციფრი სრულად არ მოიცავდეს საქართველოში არსებულ პოლიტპატიმართა რაოდენობას.

საქართველოში ხშირია რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა დაპატიმრება. უამრავი ადამიანი იყო დაკავებული ორი დღიდან ორ კვირამდე ვადით და შემდეგ გათავისუფლებული ყოველგვარი ოფიციალური ბრალდების წაყენების გარეშე. ეს ოპოზიციურ ოპონენტთა დასაშინებლად კეთდება.

1995-96 წლებში, ისეთი ბრალდებათა ფაბრიკაციის საფუძველზე, როგორიც არის ტერორიზმი, აფეთქებები, თავდასხმები, შეიარაღებული ჯგუფების შექმნა და სხვა, ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებს, ან "ზვიადისტობაში" ეჭვმიტანილ პირებს. მათ მიმართ წაყენებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე (სამშობლოს ღალატი), 67-ე (ტერორიზმი), 69-ე (საბოტაჟი), 78-ე (ბანდიტიზმი), 79-ე (შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფების შექმნა), 104-ე (მკვლელობა) და 238-ე (იარაღის უკანონოდ ტარება და შენახვა) მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებები. საბრალდებო დასკვნის თანახმად, განსასჯელთა მიზანს შეადგენდა "საქართველოს რესპუბლიკის დასუსტება", "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძალაუფლების აღდგენა". მსჯავრდებულებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 5-დან 15 წლამდე; უმრავლეს შემთხვევაში სასჯელის ზომა 10 წელიწადს აღემატება, ხოლო ორ შემთხვევაში იყო სასიკვდილო განაჩენებიც, როგორც1995, ისევე1996 წლებში.

პოლიტიკურ ოპონენტთა გასამართლების სერია 1992 წელს დაიწყო ეგრეთ წოდებული "ყვარლის საქმით" (საქმე # 7792809). გასამართლდა ზვიად გამსახურდიას 15 მხარდამჭერი. 1996 წლის სექტემბერში მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ საქმეზე განსჯილი პოლიტპატიმრებიდან ამჟამად განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან: გელა გაჩეჩილაძე, ლერი დონაძე, ემზარ კობაიძე. კრიტიკულია ხვიჩა ჯოხაძის (მწვავე ორმხრივი ტუბერკულოზი), თამაზ (ბიძინა) გორელიშვილის (ფსიქიკური აშლილობა წამების შედეგად), დავით ლოლაძის (ჯირკვლების მწვავე ანთება) ჯანმრთელობის მდგომარეობა.

** 1996 წლის 12 სექტემბერს, "ყვარლის ტყის საქმესთან" დაკავშირებით, ქალაქ ყვარელში დააპატიმრეს მიხეილ (ნუკრი) იორამაშვილი. იგი ეჭვმიტანილია იმაში, რომ 1992 წელს მიუტანა პური და საჭმელი ზემოხსენებულ საქმეში ბრალდებულ პირებს. 1996 წლის 17 სექტემბერს იორამაშვილი გადმოიყვანეს თბილისის საგამომძიებლო იზოლატორში.*

** 1995 წლის დეკემბერში, საქართველოს ხელისუფალთა მოთხოვნით, რუსეთში დააპატიმრეს ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი, წალენჯიხის რაიონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე ელგუჯა მესხია. მიუხედავად სერგეი კოვალიოვის ადამიანის უფლებათა კომისიის მტკიცე პროტესტისა, რუსებმა მაინც გადასცეს ელგუჯა მესხია ქართულ მხარეს.*

#### სიტყვის თავისუფლება

ოფიციალური ტელევიზია ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება. მოქმედებს უმკაცრესი ცენზურა. დამოუკიდებელი ტელეარხები, თვითცენზურიდან გამომდინარე, არჩევენ ფილმებისა და მუსიკალური კლიპების ჩვენებას.

1995 წლის იანვარში ხელისუფლებამ საეთერო დრო შეუწყვიტა დამოუკიდებელ ტელე-რადიო კომპანიას "საქართველოს ხმა".

1996 წლის 12 ივლისს დაიხურა დამოუკიდებელი ტელეკომპანია "რუსთავი-2". ეს მოხდა მას შემდეგ, როცა ამ ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებამ - "კურიერმა" გადმოსცა საკმაოდ ობიექტური და მწვავე სიუჟეტი უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ზვიად ძიძიგურის, ნუგზარ მოლოდინაშვილის, ვახტანგ ქობალიასა და ჯამბულ ბოკუჩავას სასამართლო პროცესზე. "რუსთავი-2" აკრძალეს სიუჟეტის შემდეგ, რომელიც შეტანილ იქნა მმართველი პარტიის - მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრაქციის წარმომადგენელთა მიერ.

პრესა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდა ადგილი ზოგიერთი გაზეთის დახურვას. ოპოზიციური პრესის ჟურნალისტებს და გამავრცელებლებს ავიწროებენ. დამოუკიდებელი პრესა განიცდის არაპირდაპირ დაწოლას - ზოგ შემთხვევაში ძნელდება გაზეთის დასაბეჭდად სტამბის პოვნა. რადგან სტამბების უმრავლესობა ჯერ კიდევ ხელისუფლების დაქვემდებარებაში რჩება. მათ ხელმძღვანელობას ურჩევნია, რეჟიმისადმი კეთილგანწყობილი გაზეთები მიიღოს დასაბეჭდად. არსებობს პრობლემები გაზეთის გავრცელებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერი პრესა ვრცელდება. ნამდვილად დამოუკიდებელი გაზეთების გავრცელების არეალი დედაქალაქით შემოიფარგლება.

### 1. გ) კრებისა და საჯარო თავშეყრის თავისუფლება

ბოლო წლებში პოლიცია არბევდა ოპოზიციური პარტიების მიერ მოწყობილ თითქმის ყველა საჯარო მიტინგსა თუ მანიფესტაციას. უამრავი ადამიანი იქნა აყვანილი პირდაპირ ქუჩიდან ამგვარი დარბევების დროს. იყო შემთხვევები, როცა ხელისუფლებას დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები ესროდნენ მომიტინგეებს. თბილისის ქუჩებში მიტინგების დახვრეტების დროს ათობით ადამიანი გარდაიცვალა.

1994-95 წლებში პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ შენობაში შეკრების თავისუფლება.

**26 მაისს პოლიციამ სასტიკად დაარბია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი მშვიდობიანი საზეიმო მიტინგის მონაწილენი. დარბევის პარალელურად, ხელისუფლების მხარდამჭერები სხვა მოედანზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ზეიმობდნენ დამოუკიდებლობის დღეს.*

** 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა 1989 წლის 9 აპრილს რუსეთის სამხედრო ძალების მიერ მშვიდობიან მომიტინგეთა ხოცვა-ჟლეტის წლისთავის აღსანიშნავი სამგლოვიარო მანიფესტაცია. დაპატიმრებულ იქნა 14 ადამიანი, რომელთაც მიესაჯათ 7 დღით თავისუფლების აღკვეთა.*

### 1. დ) ადამიანის უფლებათა დამცველები

საქართველოში არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო ორგანიზაციები. მაგრამ, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შენიშვნების თავიდან ასარიდებლად, ისინი ცდილობენ, უფრო მეტად სოციალურ პრობლემატიკაზე გაამახვილონ ყურადღება. ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დამცველთ თავის ოპონენტებად აღიქვამს. ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავები თავიანთ საქმეს თავისუფლებისა და თვით სიცოცხლის დაკარგვის საშიშროების ქვეშ ასრულებენ. საქართველოში სამართალდამცავებს ურჩევნიათ დამოუკიდებლად იმუშაონ, დიდ ორგანიზაციებში გაერთიანების გარეშე, რადგან ფიქრობენ, რომ ასე ნაკლებად მიიქცევენ ხელისუფალთა ყურადღებას.

### 2. წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტები

წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევებს აღიარებების გამოძალვის მიზნით, თითქმის ყველა პოლიტიკური პროცესის მსვლელობისას ჰქონდა ადგილი.

** ლია ჭოველიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დროს დაპატიმრებული იყო ათი ეჭვმიტანილი. ათივეს განცხადებით, ისინი სასტიკად იყვნენ ნაწამები პატიმრობის პერიოდში. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შს ორგანოებში გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების დასკვნის თანახმად: "გამომძიებლებმა, კავთელიშვილმა და კობახიძემ სისტემატური მუქარით, ცემით, ელექტროდენის შეერთებით და სხვა მტანჯავი საშუალებების გამოყენებით აიძულეს ... (ეჭვმიტანილები) დაეწერათ ახსნა-განმარტებები და ჩვენებები, თითქოს ლ. წამალაშვილი-ჭოველიძე მათ მოკლეს".*

*ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. გაბრიელ ბენდელიანის, გურგენ მალანიას, კარლო ჯიჭონაიას და მურთაზ გულუას საქმე მოხსენების ქვეთავში "სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და სამართლიანი სასამართლო".*

### სასჯელის უმაღლესი ზომა

შემდეგი წლის დასაწყისში ევროსაბჭომ უნდა განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის განაცხადი ევროსაბჭოში გაერთიანებასთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა ევროსაბჭოს უპირველესი მოთხოვნა თავისი წევრ-ქვეყნების მიმართ, სასიკვდილო განაჩენის გაუქმებაა, საქართველოში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას.

1996 წლის 17 ივნისს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ეროვნული გვარდიის ოფიცერს - ბადრი ზარანდიას, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. პატიმრობისას, 1994 წლის ოქტომბერში, მას გაუკეთეს უმძიმესი ქირურგიული ოპერაცია. იმის გამო, რომ დროულად არ აღმოუჩინეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, პატიმარს ფეხი მოსაკვეთი გაუხდა. საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში მას სასტიკად აწამებდნენ. შედეგად - ზარანდიას რამდენჯერმე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა.

ბადრი ზარანდიას ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე (სამშობლოს ღალატი), 78-ე (ბანდიტიზმი), 104-ე მუხლის III, IV, VII, IX პუნქტებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და 228-ე მუხლის III ნაწილით (ხულიგნობა ცივი იარაღის გამოყენებით) გათვალისწინებულ დანაშაულში.

მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ ბრალდების ის ნაწილი, სადაც ზარანდიას ბრალი ედებოდა მკვლელობასა და ბანდიტიზმში, ხელახალ ძიებაში დააბრუნა. მიუხედავად ამისა, ზარანდიას სასიკვდილო განაჩენი ძალაში დარჩა. მას აპელაციის უფლებაც კი არა აქვს. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ სასამართლო ძიებას არ წარუდგენია არც ერთი კონკრეტული ფაქტი ზარანდიას დანაშაულობათა დასადასტურებლად. ბრალდებები ეყრდნობოდა პოლიტიკური ხასიათის ზოგად მსჯელობებს და არა კონკრეტულ მტკიცებულებებს.

### სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და სამართლიანი სასამართლო

1996 წლის 7 მაისს გაბრიელ ბენდელიანს, გურგენ მალანიას, კარლო ჯიჭონაიას და მურთაზ გულუას მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 13-დან 15 წლამდე მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ბრალდებათა უმრავლესობა ხელახალ ძიებაში დააბრუნა. ოთხივე პატიმარი აცხადებდა, რომ ისინი სასტიკად იყვნენ ნაწამები აღიარებების გამოძალვის მიზნით. ბენდელიანს დაამტვრიეს ფეხის ფრჩხილები, შეროზიას ფეხებით კიდებდნენ და ისე სცემდნენ. გამომძიებელმა მას პირში ხელყუმბარა ჩაუდო და დაემუქრა, რომ ააფეთქებდა. სასამართლოს არ გამოუძიებია არც ერთი ეს შემთხვევა მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულები ასახელებდნენ მათ, ვინც ისინი აწამა. სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ჩვენებები, რომლებიც მსჯავრდებულთა უდანაშაულობას ადასტურებდა. მოწმეები, რომელთაც [illegible] "აღიარებებზე" დაყრდნობით, რომლებიც პატიმრებს წამების ქვეშ მიაცემინეს.

გახმაურებული # 7493810 საქმის სასამართლო პროცესი, რომელზეც წარმოდგენილი იყო 19 განსასჯელი (5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაწყებული, ორი სასიკვდილო განაჩენით დამთავრებული), 1995 წლის 6 მარტს დასრულდა. პროცესი თავიდანვე ფარსს უფრო ჰგავდა, რომელიც სრულად აშკარავებდა საქართველოს სასამართლო სისტემის დაუფარავად პოლიტიზირებულ ხასიათს.

პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის მიმართ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გასცა პასუხი, რომ სასამართლოს მსვლელობის დროს დაშვებულია რიგი უმნიშვნელო დარღვევები, მაგრამ ისინი ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ განაჩენზე. ამჟამად ამ ორი სიკვდილმისჯილის შეწყალების საკითხი შეტანილია საქართველოს პარლამენტის შეწყალების კომისიაში.

საქმე უზენაესი საბჭოს წევრების - ზვიად ძიძიგურისა და ნუგზარ მოლოდინაშვილის, აგრეთვე, გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის - ვახტანგ (ლოთი) ქობალიას და გვარდიის ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელის - ჯამბულ ბოკუჩავას მიმართ დაიწყო 1996 წლის 1 თებერვალს.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ იქნა დაკმაყოფილებული განსასჯელებისა და ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა, ხოლო ბრალდების მხარის მოთხოვნები დაუყოვნებლივ სრულდებოდა. მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილი, პროკურატურის ინტერესებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა მოწმეებზე, უხეშად ზღუდავდა განსასჯელებისა და მათი დამცველების უფლებებს. ზვიად ძიძიგურს არ მიეცა საშუალება, ჰყოლოდა მისთვის სასურველი ადვოკატი და უარი ეთქვა საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნაზე. პროცესიდან, უკანონო მოტივით, გაძევებულნი იქნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივი დამცველები.

განსასჯელები სისტემატურად გამოთქვამდნენ პროტესტებს მოსამართლის მიერ საპროცესო კოდექსის დარღვევების გამო, რამაც შედეგი არ გამოიღო. 21 მაისს ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ხოლო 4 სექტემბერს ზვიად ძიძიგურმა და ჯამბულ ბოკუჩავამ უარი განაცხადეს პროცესში მონაწილეობაზე და სასამართლოს უწოდეს პოლიტიკური სპექტაკლი, რომლის შედეგი წინასწარაა განსაზღვრული ხელისუფლების მითითებით.

ნუგზარ მოლოდინაშვილს, ადვოკატის ავადმყოფობის გამო, 1996 წლის ივნისში მასთან შეუთანხმებლად დაენიშნა ახალი ადვოკატი გივი მორჩილაძე, რომელიც მექანიკურად ჩაერთო საქმეში ისე, რომ არ გასცნობია არც საქმის მასალებს, არც სასამართლო სხდომის ოქმებს. ნუგზარ მოლოდინაშვილმა, პროტესტის ნიშნად, 10 ივლისს გამოაცხადა შიმშილობა და მოითხოვდა შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებთან. მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ 13 აგვისტოს, შიმშილობის 34-ე დღეს.

7 ოქტომბერს პროკურორმა სამი განსასჯელისთვის - ზვიად ძიძიგური, ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა - მოითხოვა სასიკვდილო განაჩენი, ხოლო ნუგზარ მოლოდინაშვილისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

** 1996 წლის თებერვლის დასაწყისში ზვიად ძიძიგურმა სასამართლოზე განაცხადა, რომ გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი ეწევა მის შანტაჟირებას - ჰპირდება, რომ შეუმსუბუქებს სასჯელს მის ძმას და სიძეს, თუ იგი სასამართლოზე მოიქცევა ისე, როგორც სურს პროკურატურას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მის ძმას და სიძეს წაუყენებს დამატებით მძიმე ბრალდებებს. ზ. ძიძიგურის ამ განცხადების შემდეგ პროკურატურამ შეასრულა თავისი მუქარა და 1996 წლის თებერვლის დასაწყისში კობა ძიძიგურს (ზ. ძიძიგურის ძმა), ვაჟა წერეთელს (ზ. ძიძიგურის სიძე), გიორგი ყორბესაშვილსა და ზაზა დანელიას, ხიდის აფეთქების მცდელობის გარდა, წაუყენეს დამატებითი ბრალდებები 65-ე (სამშობლოს ღალატი) და 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით. მათი საქმის (# 1095211) განხილვა დაიწყო უზენაეს სასამართლოში 1996 წლის 27 აგვისტოს (მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილი).*

** რამაზ ვანიშვილი - დააპატიმრეს 1993 წლის 19 ოქტომბერს. ბრალი ედებოდა სს კოდექსის 261-ე (სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვება), 262-ე (დეზერტირობა), 264-ე (სამხედრო ქონების გაფლანგვა და დაკარგვა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში. საქმე განიხილებოდა სამხედრო სასამართლოს მიერ. განაჩენი გამოტანილია 1994 წლის მაისში. მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

*1996 წლის გაზაფხულზე საქმე ხელახლა იქნა დაბრუნებული ძიებაში და რამაზ ვანიშვილს დამატებით წაუყენებული აქვს სსკ 65-ე (სამშობლოს ღალატი) მუხლით გათვალისწინებული ბრალდება. 10 ოქტომბერს მსჯავრდებულს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

** 29 აგვისტოს პარლამენტის ეზოში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს რეჟიმის ათი პოლიტიკური ოპონენტი. სექტემბრის პირველ ნახევარში გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ აფეთქების ორგანიზებასთან კავშირშია თავად სუს-ის ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე, რომელმაც ამ მომენტისთვის დატოვა საქართველო. აგრეთვე, მისი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი და სხვა პირები, რომელნიც დაკავებულ იქნენ. მათ აღიარეს თავიანთი მონაწილეობა აფეთქებაში. მიუხედავად ამისა, შოთა რაჭიანის, გიორგი ონიაშვილის, გელა ნანაძის, გივი გელაშვილის, ზაზა დვალის, დავით მჭედლიშვილის მიმართ ძიება არ შეწყვეტილა, მათი ნაწილი კვლავ პატიმრობაშია.*

## ვალერი ფისუნის სიკვდილი საშიფათო პრეცედენტს ქმნის!

ასე თვლის საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია და შეშფოთებას გამოთქვამს 10 ნოემბერს ქსნის კოლონიაში ვალერი ფისუნის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. "სასამართლო პროცესის მსვლელობისას ვ. ფისუნი სისტემატურად უჩიოდა გულის ავადმყოფობას და არაერთხელ მოითხოვა, აღმოეჩინათ მისთვის სამედიცინო დახმარება. მისი განცხადებები ან არ იქნა შესმენილი შესაბამისი ორგანოების, მათ შორის დიდუბის რაიონის სასამართლოს მოსამართლის, სოსო ხერხეულიძის მიერ, ან უარყოფილ იქნა სრულიად შეუწყნარებელი მოტივით. მიუხედავად ამისა, ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია არ გამორიცხავს, რომ სასიკვდილო შედეგი არ არის მხოლოდ ავადმყოფობისადმი უყურადღებობის ბრალი, ვინაიდან საქართველოს უახლესი წარსულის პოლიტიკური მოვლენების უშუალო მონაწილე - რუსეთის მოქალაქე ვ. ფისუნი, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, საკმაოდ ფართო და გავლენიანი წრეებისთვის არასასურველ მოწმეს წარმოადგენდა. ცხადია, დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული პენიტენციარული სისტემის პირობებში სრულიად არარეალურია გარდაცვლილი პატიმრის ცხედრის ობიექტური გამოკვლევა. ამას მოწმობს ისიც, რომ ცხედრის დაფიქსირების საშუალება არ მისცეს დამოუკიდებელი გაზეთების კორესპონდენტებს.

რაც არ უნდა იყოს სიკვდილის რეალური მიზეზი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია მიიჩნევს, რომ ეს შემთხვევა წარმოადგენს მეტად საშიშ პრეცედენტს და აძლევს საშუალებას მმართველ რეჟიმს, დანერგოს მისთვის არასასურველი პირების, პოლიტიკური ოპონენტებისა და მოწმეების ლიკვიდაციის ახალი პრაქტიკა." - ნათქვამია კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პარლამენტმა 15 ნოემბერს უკვე მეორედ განიხილა ომბუდსმენის - სახალხო დამცველის დანიშვნის საკითხი და კვლავ არ იქნა დამტკიცებული შევარდნაძის მიერ წარდგენილი კანდიდატი. ალრე, ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსანდრე კავსაძის კანდიდატურის განხილვისას, დეპუტატებმა მას ლამის სამშობლოს ღალატი დასდეს ბრალად, რის შემდეგაც იგი საკმაოდ დიდ ხანს შვებულებაში აფარებდა თავს.

ამჯერად წარდგენილი იყო ორი კანდიდატი:

## არის თუ არა საქართველო მზად სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად?!

მოქალაქეთა კავშირისა და შევარდნაძისგან - გიორგი ხუციშვილი, რომელიც 1993-94 წ.წ. სწორედ დაწუნებული კავსაძის მოადგილედ მუშაობდა და ცნობილია როგორც შევარდნაძის დაახლოებული პირი; და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი - მარიკა ბაღდავაძე. აღსანიშნავია, რომ ორივე, პარტიული კონიუნქტურის გათვალისწინებით, აფიქსირებდა საპირისპირო პოზიციებს:

ბაღდავაძის აზრით, პოლიტპატიმრად ჩაითვლება ის, ვინც პოლიტიკური მოტივით ჩაიდინა დანაშაული, თუმც ეს არ ნიშნავს ასეთი პირების განთავისუფლებას. იგი მომხრეა სიკვდილით დასჯის გაუქმების იმდენად, რამდენადაც ვეგეტარიანელი ყოფილა და ხორცსაც კი არ ჭამს. საინტერესოა, გულისხმობდა თუ არა ომბუდსმენობის კანდიდატი, პირველ შემთხვევაში, თავისი პარტიის აწ გარდაცვლილი ლიდერის მოღვაწეობას 1991 წლიდან და, მეორე შემთხვევაში, საქართველოში გამეფებულ სახელისუფლებო კანიბალიზმს.

იმავე კითხვებზე ხუციშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ და სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება მზადაა ამისთვის. როგორც ჩანს, "მოქალაქეები" მიიჩნევენ, რომ საუკუნის დასაწყისში და, მით უფრო, მე-12-ე საუკუნეში, ქართული საზოგადოება უფრო მზად იყო ამ ჰუმანური აქტისთვის, ვიდრე დღეს.

საბოლოოდ, ხუციშვილისთვის მიცემული 107 ხმა არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის, სამაგიეროდ, ბაღდავაძემ 50 ხმით მოახერხა ჩაეგდო მმართველი კლანის კანდიდატურა. დამკვირვებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს იყო კულუარული შეუთანხმებლობის შედეგი, რის გამოც თვით შევარდნაძისტული ორიენტაციის დეპუტატთა ნაწილმაც არ მისცა ხმა მის პროტეჟეს. ამასთან, როგორც ჩანს, "მოქალაქეთა" ახალგაზრდულ გვარდიაში გაღიზიანებას იწვევს ხუციშვილის ნომენკლატურული იმიჯი და მისი კავშირი კავსაძის კომიტეტთან, სადაც იგი უშუალოდ კურირებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას. თუმცა გასაოცარია, რომ მან უარყოფითად შეაფასა მშობლიური კომიტეტის მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით და მთელი პასუხისმგებლობა ისედაც გალანძღულ კავსაძეს დააკისრა.

დეპუტატთა ნაწილი შეაშფოთა ხუციშვილის უაპელაციო გამონათქვამებმა, კერძოდ იმ აზრმა, რომ არძინბას მიერ აფხაზეთში დანიშნული არჩევნები, თურმე, დადებით მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან გზას უხსნის სეპარატისტთა მმართველობაში ზოგიერთ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებას, რომლებსაც საშუალება მიეცემათ გაატარონ თავისი პოლიტიკა. ამ მოსაზრებამ პარლამენტართა ნაწილში ირონია, ხოლო ფრაქცია "აფხაზეთის" დეპუტატებში - აღშფოთება გამოიწვია.

## სიმართლის გამომჟღავნების შიში

ეუთო-ს წარმომადგენლობას საქართველოში
გაერო-ს წარმომადგენლობას საქართველოში
უცხოეთის საელჩოებს
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

ასლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბ-ნ მ. უგრეხელიძეს

### განცხადება

1995 წლის 27 ივნისიდან, პოლიტიკური მოტივებით და ყოველგვარი კრიმინალური დანაშაულის გარეშე, უკვე თექვსმეტი თვეა, რაც დაპატიმრებულნი ვართ და ჩვენ სასამართლო პროცესს დაუსრულებლად აჭიანურებენ. იმდენად აშკარაა ხელოვნურად შექმნილი მტკიცებულებების სიყალბე და წამოყენებული ბრალდებების უსუსურობა, რომ თვითონ საქართველოს რესპუბლიკის პოსტსაბჭოური უზენაესი სასამართლოც კი ერიდება ჩვენი ბრალდების საქმის გახმაურებას და სასამართლოს გაჭიანურებით ცდილობს მის მიჩუმათებას.

ამგვარი მეთოდებით მოქმედება დამახასიათებელი და ნიშანდობლივია პოლიტიკური ხასიათის სასამართლო პროცესებისთვის. ჩვენს მიმართ წამოყენებული ბრალდებების პოლიტიკურ ხასიათზე და ზემოდან მიღებულ დაკვეთაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს აშკარა ზეწოლა ჩვენი საქმის როგორც წინასწარი ძიებისას, ასევე სასამართლოს მსვლელობის დროს (1995 წლის 3 ივლისს, დაკავებიდან ერთი კვირის თავზე, წინასწარ ძიებაზე ზემოქმედების მიზნით, ჩვენი დასჯის მოთხოვნით გამოვიდა ედ. შევარდნაძე, იხ. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" # 74, 1995 წ., 4 ივლისი, სამშაბათი, გვ. 2; ხოლო იმავე წლის 24 ივლისს ამავე მიზნით პარლამენტში პრესკონფერენცია გამართეს კირთაძე-ბალუაშვილმა, იხ. გაზეთები: "რეზონანსი", # 76 (351), 1995 წ., 25-26 ივლისი, სამშაბათი, ოთხშაბათი, გვ.1; "თავისუფალი საქართველო", 1995 წ. 4-17 აგვისტო, გვ. 6. 1996 წლის 29 აგვისტოს - ედ. შევარდნაძის ცნობილი შოუ-ტერაქტის წლისთავისთვის მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში გამოიყენეს კადრები, სადაც ჩვენ წარმოგვაჩინეს, როგორც ტერორისტები. ამავე წლის 18 ოქტომბერს იგივე თემას მიეძღვნა ა. ბალუაშვილისა და სხვა "სამართალდამცველთა" პრესკონფერენცია, იხ. გაზეთი "ახალი თაობა" # 169 (346), 1996 წ., 19 ოქტომბერი, შაბათი, გვ.1).

გარდა იმისა, რომ აურაცხელი არსებითი დარღვევით წარმოებული საქმე, უზენაესმა სასამართლომ არათუ არ შეწყვიტა, არამედ წინასწარ ძებაშიც კი არ დააბრუნა, თვითონაც განმწესრიგებელი და სასამართლო სხდომის დანიშვნის ვადების დარღვევით დაიწყო ჩვენი სასამართლო პროცესი და ახლაც საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით აგრძელებს მის წარმოებას: უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ლ. ბოჭორიშვილმა, ჩვენი საქმე ისე მიიღო წარმოებაში და ისე გახსნა სასამართლო სხდომა 22 აგვისტოს, რომ, როგორც თვითონ აღიარა, არც კი გასცნობია დახვრეტის მუხლებმიყენებულ ჩვენი ბრალდების საქმეს, ხოლო მეორე სხდომაზე - 27 აგვისტოს, საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად საქმის მასალის გასაცნობად გამოყოფილი 5 სამუშაო დღის გამო, სასამართლო სხდომა 2 თვეზე მეტი ხნით გადადო უმიზეზოდ და ამ ხნის განმავლობაში, საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის მოთხოვნის - სასამართლო სხდომის უწყვეტობის დარღვევით, ჩვენი საქმის მოსმენის დამთავრებამდე, უკვე განიხილა ერთი საქმე ზუგდიდში (იხ. სტატია "გააუპატიურა მეზობლის 13 წლის გოგონა", გაზეთი "რეზონანსი", #178(594), 1996 წ., 28 სექტემბერი, შაბათი, გვ.14), ხოლო ახლა მეორე საქმეს იხილავს ქუთაისში, რისი უფლებაც მას არა აქვს. ეს საპროცესო კანონის არსებით დარღვევას და ჩვენი - განსასჯელების - უფლებების უხეშ შელახვას წარმოადგენს.

ჩვენს მიმართ წამოყენებული ბრალდებების პოლიტიკური ხასიათის მაჩვენებელია ისიც, რომ ჩვენ, ზვიად ძიძიგურზე ზემოქმედების მიზნით, უკანონოდ და უსაფუძვლოდ აგვიყვანეს "პოლიტიკურ მძევლებად", ყოველგვარი სამხილის გარეშე და ჩვენი სასამართლო პროცესის გაჯიანურებაც ამ პოლიტიკური მიზეზით - ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას და ნუგზარ მოლოდინაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის (# 7495927) მიმდინარეობით არის გამოწვეული და ამ გახმაურებული სასამართლოს დამთავრებას ელოდებიან, რადგან მასზე ჩვენი მეგობრების, კობა ძიძიგურის და ვაჟა წერეთლის, ოჯახის წევრი - ზვიად ძიძიგური სამართლდება და არა სურთ ორი პოლიტიკური ხასიათის სასამართლო პროცესის პარალელურად გამართვა, რომელზეც ერთი ოჯახის წევრები ერთი და იმავე ბრალდებებით სამართლდებიან სხვადასხვა დარბაზში, გვერდი-გვერდ. სხვა მხრივ სავსებით გაურკვეველია, რატომ უნდა გაგრძელებულიყო და რით იყო გამოწვეული წინასწარი ძიებაში ჩვენი საქმის წარმოება 12 თვის მანძილზე (იხ. თ. ჯაფარიძის 1996 წლის 18 იანვრის შუამდგომლობის საფუძველზე ა. ბალუაშვილის დადგენილება საგამოძიებო ვადის 1996 წლის 30 ივნისამდე გაგრძელების შესახებ, ტ.3, ს.ფ. 18-22) მაშინ, როცა ჩვენთან ერთად დაჭერილი და მერე ცალკე გამოყოფილი ზვიად ძიძიგურის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გაცილებით ვრცელია (52 ტომი), ვიდრე ჩვენი საქმე (8 ტომი), 5 თვის შემდეგ, 1995 წლის 25 ნოემბერს გადასცეს სასამართლოს (იხ. სისხლის სამართლის საქმის # 1095211 საბრალდებო დასკვნა, ს. ფ. 3) და რომლის სასამართლო განხილვა უკვე დასასრულს მიუახლოვდა, ხოლო ჩვენი - ჯერ წესიერადაც არ დაწყებულა (2 ხანმოკლე სხდომა გაიმართა) და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კარგა ხანს კიდევ არ განახლდება, რადგან ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დამთავრებას და მასში მონაწილე სამხედრო ტყვეებსა და პოლიტიკურ პატიმრებზე ანგარიშსწორების ფინალს ელოდებიან (ოთხიდან სამის მიმართ პროკურორმა დახვრეტა მოითხოვა).

ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი უმიზეზო და უსაფუძვლო წყვეტილობები კიდევ ბევრი იქნება ჩვენს სასამართლოზე, რადგან მისი მიზანი სიმართლის დადგენა კი არა, ჩვენზე ანგარიშსწორებაა, ჩვენი განსხვავებული პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებების გამო. ამდენად, სასამართლო პროცესის გაჭიანურება ჩვენზე მორალური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის გამიზნული ზეწოლაა.

მოგმართავთ თქვენ, რათა თქვენს ხელთ არსებული საშუალებებით გავლენა მოახდინოთ ფაქტობრივ ხელისუფლებაზე და მის მსახურ მართლმსაჯულებაზე, რათა დაიცვან სამართალწარმოების ელემენტარული ნორმები და დააჩქარონ ჩვენი სასამართლო პროცესის განახლება - (სიმართლის გამომჟღავნების შიშით, მათ შეუძლიათ განუსაზღვრელი ვადით გაწელონ ჩვენი სასამართლო და უსასრულოდ გვამყოფონ პატიმრობაში გაუსამართლებლად) - და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით ჩაატარონ იგი.

*კ. ძიძიგური, ვ. წერეთელი,*
*ზ. დანელია, გ. ყორბესაშვილი*

4. 11. 96.

# ჩვენ შევუშვერთ გულს შვილებისთვის დამიზნებულ ტყვიას

უზენაესი სასამართლოს წევრს, ალექსანდრე ალადაშვილს

ჩემი შვილი შალვა ცინცაძე - ეროვნული გვარდიის სამტრედიის ბატალიონის ოცმეთაური 1991 წლიდან, მისი მეგობარი ლევან ფალავა და კიდევ ერთი უცნობი ახალგაზრდა საშინელი წამების შემდეგ დახვრეტილ იქნენ ზუგდიდში 1993 წლის 3 ნოემბერს. აი, როგორ მოხდა ეს:

ბარაკებში გადამალული კანონიერი ეროვნული გვარდიის მებრძოლები გაყიდეს "მხედრიონის" მიერ მოსყიდულმა მოღალატეებმა. შალვა და ლევანი შეიპყრეს და წაიყვანეს შტაბში, სადაც უმოწყალოდ სცემეს იმის გამო, რომ მათ არ შეურაცხყვეს ზვიად გამსახურდიას სახელი. ოთახის კედლები მათი სისხლით იყო შეღებილი, მაგრამ ვაჟკაცი ბიჭები მაინც ვერ გატეხეს. მათთან ერთად იყო ჩემთვის უცნობი მებრძოლი, რომელსაც დღემდე "უცხოს" სახელით მოვიხსენიებ. სამივე ქართველი ვაჟკაცი აწამეს და დილეგში ჩააგდეს. ის ღამე დილეგში გაატარეს, დილის 4 საათზე კი კვლავ აწამეს სამივე, ხელ-ფეხი დაუხვრიტეს... "დედისერთა ვარ, არ მომკლათო" - უყვიროდა თურმე ლევანი. "ჩვენ ხომ სამივე დედისერთები ვართ" - იყო შალვას პასუხი. პირველი ლევან ფალავა დაუხვრეტიათ: "გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!" - გაისმა შალვას შეძახილი. მძლავრად შეკრული მუშტი მაღლა ასწია და ავტომატის ჯერიც გაისმა. გათავდა ყველაფერი. მაგრამ შალვამ არ დაიჩოქა. შემდეგ კვლავ ავტომატის ხმა. კვლავ და კვლავ... ასე ნაწამები ბიჭების ცხედრები გადაყარეს. ისე იყვნენ დასახიჩრებულები, რომ ველარ ამოიცნობდა ადამიანი. რისთვის, რისთვის დახოცეს ქართველი ვაჟკაცები? იმისთვის, რომ უყვარდათ მამული და ერი, მისი კანონიერი პრეზიდენტი? რამ გაამხეცა და გააცოფა ამ ხალხის გულები? შურისძიებამ? კი მაგრამ, რა დააშავეს, რა? არაფერი. ეს იყო უაზრო, მაგრამ გამიზნული ბოროტება, რომელსაც მშვიდი ურჩხული მართავდა და ამას ყველაფერს თითქოს ხალხისთვის სჩადიოდა, რომელსაც თვითონვე ანადგურებდა.

დახვრეტილი ბიჭების ცხედრები უცხო ხალხმა იპოვა და, საფრთხის მიუხედავად, დაუტირებლად დამარხეს. რა ვიცოდით უბედურმა დედებმა, რომ ჩვენს შვილებს ყვავყორნების საჯიჯგნად გახდიდნენ.

ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა. დავკარგე ერთადერთი სიცოცხლე და ეს მხოლოდ 1995 წლის 29 დეკემბერს გავიგე. მეორე დღეს მთელი სოფელი, ჩემთან ერთად, ავტობუსით გაემართა ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარში საფლავის საძებნელად. მიგვითითეს შტაბის ეზოში, სადაც უამრავი სამარხი იყო. საფლავიდან, სადაც სამი მებრძოლი ესვენა, ორი სახლში გადმოვისვენეთ, ერთი კი ისევ იქ განისვენებს და მას, ალბათ, დღესაც ელოდება მისი გაუბედურებული დედა.

შალვას ვერ შევხედე, არ მანახეს ჩემი ბიჭი და დავტირი ჩემს უნახავ შვილს.

სწორედ ასეთი საქმეების ჩამდენ ბანდიტებს გმირების სახელი მიანიჭა ახლანდელმა ხელისუფლებამ. კაცისმკვლელებსა და ყაჩაღებს გენერლის წოდება და მინისტრობა უბოძა, თუმცა, იმავე ხალხს დღეს უკვე საპყრობილეებში ერეკება. მაგრამ, ამასთან, სამშობლოს სიყვარულისთვის - პატიოსან, ერის მოყვარულ, ქვეყნის გადამრჩენელ მებრძოლებს ასამართლებს ის, ვინც ჯერაც ვერ გაძღა საქართველოში ქართველი გენისა და ოჯახების გადაშენებით. ამ სახელმწიფოს მართავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ერთ დროს ენას ართმევდა ერს, ქართველს ვაზს აჩეხინებდა და ეკლესიებს ანგრევდა. არ ეყოთ ქართველი ვაჟკაცების ულეტა და კვლავ შეიპყრეს ერის უერთგულესი შვილი, სისპეტაკის განსახიერება, სულითა და ხორცით ულამაზესი ვაჟკაცი, თავისი ხალხისთვის თავგანწირული, კანონიერი ხელისუფლების დამცველი, ზრდილი, ღმრთის მორწმუნე ახალგაზრდა - ზვიად ძიძიგური. დღეს, როდესაც ტელევიზიით გავიგე თავზარდამცემი, უკანონო მოთხოვნა პროკურორ ვ. წერეთლისა ზვიად ძიძიგურის და მისი თანამებრძოლების დახვრეტის შესახებ, მე, შვილმკვდარი დედა, შემძრა ამ ამბავმა. ჩვენ, როგორც გვეძახიან - ზვიადისტების დედები, დასახელებულნი ვიყავით მოწმეებად ამ სასამართლო პროცესზე ზვიად ძიძიგურის მიერ და, თქვენის წყალობით, არ მოგვეცა საშუალება დავსწრებოდით მას, რათა გვეთქვა სიმართლე.

ვაცხადებ პროტესტს პროკურორის ამ მოთხოვნაზე და მოვითხოვ, ბატონო ალადაშვილო და სასამართლოს წარმომადგენლებო, ხელახლა განიხილოთ ზვიად ძიძიგურისა და მასთან ერთად განსჯილი პირების საქმე ჩვენი, ანუ მის მიერ დასახელებული მოწმეების თანდასწრებით, რათა ჩვენც მოგვეცეს საშუალება, დავადასტუროთ სიმართლე. სიმართლე იმ მებრძოლებისა, რომლებიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ მამულს და კანონიერ ხელისუფლებას მოღალატეებისგან. მოვითხოვთ, მოგვცეთ შვილმკვდარ დედებს საშუალება, ვთქვათ ჩვენი სიტყვა, ხოლო სასამართლომ განიხილოს და იმსჯელოს ობიექტურად, გავიგოთ, რისთვის აწამეს ჩვენი შვილები ამ ხელისუფლების მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა, რისთვის მოგვიკლეს და ღორებს მიუგდეს საჭმელად. მოგვეცით საშუალება, ფაქტებით დავამტკიცოთ ყოველივე, რათა დამნაშავე დაისაჯოს.

მოვითხოვ პირადად მე, იზოლდა შელია-ცინცაძისა, რომელსაც მოიკლეს შვილი, დავადასტურო "მხედრიონის" მიერ ჩადენილი ეს დანაშაული. ამ მკვლელების ხელმძღვანელებს კი, ჯ. იოსელიანსა და თ. კიტოვანს, სასჯელად ისიც ეყოფათ, რომ სოფელ გომში მოაკვლევინეს მათივე მებრძოლი და ისიც ღორებს მიუგდეს ისე, რომ ხალხი შიშით ვერ ეკარებოდა. ვინ იცის, სად გადააგდეს მისი ცხედარი და დღეს იქნებ მისი მშობლები კიდეც ელოდებიან თავიანთ შვილს. ნუთუ სამართალი მართლა არ არის? თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, ვინ არის მოღალატე?

იქნებ თქვენ, რომლებიც ასე მოწადინებული ხართ ხალხის დასახვრეტად, უფრო მეტი საშუალება მოგეცეთ და ჩვენი სახით მოგემატოთ დასახვრეტი ხალხი! ჩვენ, გაუბედურებული დედები, ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი შვილების მაგივრად, გულს შევუშვერთ, ზვიად ძიძიგურთან ერთად, ჩვენი შვილებისთვის დამიზნებულ სასიკვდილო ტყვიას. თუ მხედრიონელების ჭირისუფალთ მიეცით განცხადების საშუალება, ჩვენც ხომ დაგვიხოცეს შვილები? რატომ იხილავთ საქმეს ცალმხრივად? ვინ აგებს პასუხს ჩვენი შვილების სიკვდილზე? რამდენი დახოცილია ჩაყრილი სანგრებში, აუზებში, ტყეებში, ჩაის პლანტაციებში. ყველაფერი ეს იცის მოსახლეობამ, რომელიც დაშინებული, დატერორებული იყო. ჩვენ შეგვიძლია ფაქტებით დავადასტუროთ ყველაფერი, გამოვყოთ კომისია და თუნდაც დღეს შეამოწმონ სამარხები, ძვლები მაინც იქნება დახვრეტილი ბიჭების.

მე, იზოლდა ნიკოლოზის ასული შელია-ცინცაძე, მოვითხოვ, აღძრათ საქმე ჩემი შვილის, შალვა ვასილის ძე ცინცაძის მკვლელობის ფაქტზე. მე, მისი დედა, მზად ვარ პირადად ვაგო პასუხი ჩემი შვილის დანაშაულისთვის.

*იზოლდა შელია-ცინცაძე*
*სოფელი გომი*

## პოლიტპატიმართა მხარდასაჭერად

### შეხვედრა ქუთაისში

ა.წ. 14 ნოემბერს, ქუთაისში, რკინიგზელთა კულტურის სახლში, ქუთაისის საზოგადოებრიობას შეხვდნენ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი; უზენაესი საბჭოს წევრი, პროფესორი ზურაბ ძოწენიძე; უზენაესი საბჭოს წევრი, ფილოლოგი ლია ანდღულაძე; ნაციონალ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს წევრი, ისტორიკოსი ბეჟან ჯავახია; ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრი, ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, კიბერნეტიკოსი ავთანდილ დავითაია; ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, გერმანისტი ნონა დოჭვირი; IGFM/ISHR -ის და საერთაშორისო ამნისტიის ინდივიდუალური წევრი, ქიმიკოსი ლალი ლომაძე; ორიენტალისტი, მთარგმნელი ნოდარ ნონიაშვილი; ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციის გამგეობის წევრი მიხეილ დათაშვილი და ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრი, IGFM/ISHR -ის ინდივიდუალური წევრი, პოლიტპატიმარ ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივი დამცველი, კიბერნეტიკოსი ლია ბერუაშვილი.

სტუმრებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის და პოლიტპატიმართა მდგომარეობის, წამების შესახებ. ითქვა, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება არ აპირებს სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას და საზოგადოებრიობას კვლავ ატყუებს, თითქოს სასიკვდილო განაჩენების აღსრულებაზე გამოცხადებული იყოს მორატორიუმი.

შეხვედრაზე უზენაესი საბჭოს წევრმა, ქ-ნმა ლია კაცაძემ სტუმრებს გადასცა ქუთაისელთა ათასობით ხელმოწერა სასიკვდილო განაჩენის გაუქმებისა და პოლიტპატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით. მან ბრძანა, რომ ხელმოწერები გრძელდება და ფაქტობრივი ხელისუფლება ვერ ისარგებლებს იმ საბაბით, რომ "საქართველოს საზოგადოებრიობა მზად არ არის სასიკვდილო განაჩენის გასაუქმებლად".

### შეხვედრა რუსთავში

16 ნოემბერს, რუსთავის ნაციონალ-კონსერვატიული პარტიის და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ინიციატივით, რუსთავის საზოგადოებრიობას შეხვდნენ: პოლიტპატიმარ ზვიად ძიძიგურის დედა - ქ-ნი ნაზი ბზიავა, პოლიტპატიმარ ვახტანგ ქობალიას მეუღლე - ქ-ნი ნელი ქობალია, პოლიტპატიმარ ჯამბულ ბოკუჩავას და - ქ-ნი ნინო ბოკუჩავა, პოლიტპატიმარ ვაჟა წერეთლის მეუღლე - ქ-ნი მარინე ძიძიგური, გაზეთ "ლაშარის გორის" რედაქტორი, პოეტი ნოდარ ჯალაღონია, ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს და გამგეობის წევრები: თემურ ჯანელიძე, ლია ბერუაშვილი, ავთანდილ დავითაია, ნონა დოჭვირი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლია ანდღულაძე, გაზეთ "მარჯის" რედაქტორი ბეჟან ჯავახია, კონსერვატიული ლიგის წევრი, "ჰელსინკი უოჩის" გრანტის მფლობელი, ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივი დამცველი გიორგი ხოშტარია, ვახტანგ ქობალიას საზოგადოებრივი დამცველი თამარ ლომიშვილი, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ქართველიშვილი. შეხვედრას უძღვებოდნენ ზაზა ორდენიძე და ავთანდილ ლოლაძე. იყვნენ პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

# ჩემი შვილი "მხედრიონიდან" გავიდა და ამისთვის მოკლეს

## ღია წერილი გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" რედაქტორს

დიდი ხანია ვაპირებდი თქვენთან მოსვლას... 

ტ ინასწარ გიხდით ბოდიშს შეწუხებისთვის, მაგრამ მდგომარეობამ მაიძულა სიმართლის საძიებლად მომემართა თქვენთვის.

ჩემი შვილი, აწ გარდაცვლილი ჯემალ რობინზონის ძე კენჭაძე, დაბადებული 1959 წელს, სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ მუშაობდა საქართველოს აღგილმრეწველობის სამინისტროს სისტემაში ავტომძღოლად.

1991 წლის დეკემბერში მასთან სახლში მოვიდა ამხანაგი და შესთავაზა შესულიყო მათთან, "მხედრიონად" წოდებულ ფორმირებაში. როდესაც ჩემი შვილისთვის ცნობილი გახდა "მხედრიონის" საქმიანობა, 1992 წლის იანვარში მან გადაწყვიტა გამოსულიყო ამ ფორმირებიდან. ამის შემდეგ მასთან ხშირად მოდიოდნენ და სთხოვდნენ, დაბრუნებულიყო "მხედრიონში", მაგრამ ჩემი შვილი მათ უარით ისტუმრებდა, რის გამოც მოკვლით დაემუქრნენ. ერთ-ერთმა, რომლის გვარი დღემდე არ ვიცი, მეტსახელად "გოჭუამ", ჩემი თანდასწრებით განუცხადა - "სულ ერთია, თუ არ დაბრუნდები, მოგკლავთ, განაჩენი გამოტანილია - შუბლში ტყვია".

1992 წლის 19 იანვარს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, ჩვენთან მოვიდა ხუთი მხედრიონელი ავტომატებითა და ჯავშანჟილეტებით, მათ შორის "გოჭუაც" და საქმის მთავარი მოქმედი პირი, შემდგომში ჩემი შვილის დამჭრელი და მკვლელი ოთარ აბელის ძე აბელაშვილი. შემოვიდნენ ეზოში, ჩემს შვილს მკლავში მოჰკიდეს ხელი და შეეცადნენ მის ძალით წაყვანას. ამ დროს ჯემალს გამოექომაგა ჩემი სიძე - ტარიელ ალექსანდრეს ძე კენჭოშვილი, რომელმაც აბელაშვილს ხელი აუკრა სასროლად მომართულ ავტომატზე და გავარდნილი ტყვია თვითონ ტარიელს მოხვდა მარჯვენა ფეხის ბარძაყში.

აბელაშვილი, "გოჭუა" და მათთან ერთად მყოფნი დაგვემუქრნენ - "არ გაასაჩივროთ, თორემ ყველას ამოგხოცავთო". მე არ შემეშინდა და ისნის რაიონის პოლიციის სამორიგეოში სიტყვიერად განვაცხადე ამ თავდასხმის შესახებ, ხოლო დაჭრილი წავიყვანეთ თბილისის #1 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს.

ამ ფაქტიდან სამი დღის შემდეგ ტარიელ კენჭოშვილთან მოვიდა ისნის რაიონის პოლიციის განყოფილების გამომძიებელი ბორის გედევანიშვილი და დაკითხა საქმის ირგვლივ. როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, მას არ აღუძრავს სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე არ დაუკითხივართ არც დაჭრის თვითმხილველნი და ამდენად, ეს მძიმე დანაშაული დამალული იქნა.

ამით გათამამებული მხედრიონელები, 1992 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 19.00 საათზე, 15 კაცის რაოდენობით, კვლავ მოვიდნენ ჩვენთან, შემოვარდნენ და ოთარ აბელაშვილმა, ავტომატიდან ერთი გასროლით, აქვე, ეზოში მოკლა ჩემი შვილი - ჯემალ კენჭაძე. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

დაახლოებით 5-10 წუთში შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ ისნის რაიონის პოლიციის მესამე ქვეგანყოფილების მუშაკები, განყოფილების უფროსი - რომან მასხურაძე, ქალაქის მორიგე, ქალაქის პროკურორი, ექსპერტი-კრიმინალისტი, რაიპროკურატურის თანამშრომლები. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მისი გამოძიება დაევალა რაიპროკურატურის გამომძიებელს, თამაზ გაგნიძეს, რომელიც, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, მოკლული იქნა ახლო ნათესავის მიერ. ამის შემდეგ საქმე გადაეცა ამავე პროკურატურის გამომძიებელს, ფუხაშვილს, რომელმაც მხარი დაუჭირა ბოროტმოქმედთ და დამნაშავედ ჯემალ კენჭაძე გამოიყვანა: თითქოსდა ჩემმა შვილმა გაუწია წინააღმდეგობა, რამაც განაპირობა მხედრიონელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება თავდაცვის მიზნით.

ყურადსაღებია ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმიდან ფუხაშვილმა ამოიღო აწ გარდაცვლილი გამომძიებლის, გაგნიძის მიერ წარმოებული ძიების მასალები და ჩემს მოთხოვნაზე, გაეცნო ეს მასალები, უარი განმიცხადა, თან დააყოლა - "სადაც გინდა, იქ მიჩივლეო". ამასთან, ჩვენ, დაზარალებულები, არავის დავუკითხივართ არც დაჭრის, არც მკვლელობის ფაქტის ირგვლივ, არც ახსნა-განმარტება ჩამოურთმევიათ. არც მეზობლები დაკითხულან. საინტერესოა, რითი იხელმძღვანელა გამომძიებელმა, როდესაც გამოიტანა დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ?!

ფუხაშვილის ამგვარი საქმიანობის თაობაზე მივმართე ზემდგომ პროკურორებს, მაგრამ ამაოდ. ჩემში გაოცებას იწვევს და მაინტერესებს, საიდან გაჩნდა ეს აზრი, რომ თითქოს ჩემმა შვილმა მხედრიონელებს წინააღმდეგობა გაუწია და საფრთხეში ჩააგდო მათი სიცოცხლე?! სად არის ის ავტომატი, რომლითაც მან შეუქმნა ეს საფრთხე?! - ადგილზე ჩხრეკის დროს ასეთი რამ აღმოჩენილი არ ყოფილა. სად არის ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ ჩატარებული შემოწმების აქტი?!

ნუთუ ჩვენს ქვეყანაში სიმართლის პოვნა არ შეიძლება და კანონმა არ უნდა იკანონოს?

მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება, შეამოწმოთ ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტები. იქნებ გაარკვიოთ, რატომ გაჭიანურდა ხუთი წლის მანძილზე გამოძიება, თუ ამით არ იყვნენ დაინტერესებულნი გამომძიებელი ფუხაშვილი და სხვა პირები, რომლებიც ხელს აფარებენ მხედრიონელთა ბოროტმოქმედებებს.

*რობინზონ კენჭაძე*

17 ოქტომბერი, 1996

*წერილს თან ახლავს თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის, გ. ნადარეიშვილის შეტყობინება ჯემალ კენჭაძის მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრული ს/ს საქმის შეწყვეტის თაობაზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ პრესისა და მის ირგვლივ არსებული პრობლემების შესახებ

საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ ყველაფერი ორად გაიყო: საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური პოზიცია, სოციალური სტატუსი, პროფესიული ინტერესები. არ გაიყო ორად მხოლოდ ის მატერიალური ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენი საზოგადოება არსებობდა. ხუნტამ მთელი ქვეყნის "დოვლათი" ერთპიროვნულად თავის მომხრე კლანს მიაკუთვნა.

თანამდებობები, კრედიტები, შენობები, ოფისები, ფაქსები უკლებლივ ნომენკლატურას ჩაბარდა, რათა მას უფრო ფართოდ და წარმატებით განეხორციელებინა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. განსაკუთრებული აქცენტი ხუნტამ საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელთა აპარატურის კონფისკაციაზე გააკეთა. კანონიერი ხელისუფლების მომხრე ჟურნალისტებს უკანასკნელი ვიდეოკამერები და დიქტოფონები გამძვინვარებულმა მხედრიონელებმა მიტინგებზე დაუმტვრიეს, რადგან სიმართლის თქმა მომავალშიც კი არავის გაებედა.

პუტჩის შემდეგ კანონიერი ხელისუფლების მომხრე ჟურნალისტთა რეპრესიებისა და მისი უფლებების უხეში დარღვევების მრავალი ფაქტი არსებობს. და ეს დოკუმენტურად დაფიქსირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ. თითქმის არ დარჩა ისეთი ჟურნალისტი და გაზეთი, რომელიც დაპატიმრებული არ ყოფილიყოს. 24 ივნისს ტელევიზიის შენობაში მომხდარი პროვოკაციის გამო, რამდენიმე ჟურნალისტის 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი) გასამართლებაც კი სცადეს. თუმცა, ამ ფაქტს "დემოკრატიისთვის" მებრძოლ საზოგადოებაში განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. არც მიტინგებზე დაპატიმრებულ და ნაცემ ჟურნალისტებს გამოსჩენია ვინმე ქომაგად, "სინდისის პატიმარ" გიორგი ხაინდრავას მსგავსად.

რეპრესირებული და დევნილი ჟურნალისტების ალტერნატივად კი, შეიქმნა ხუნტის საინფორმაციო სამსახური. ყველაზე "საიმედო" კადრებით ტელევიზია დაკომპლექტდა. ჟურნალისტებს დაევალათ პროკურორის და მოსამართლის ფუნქციები. ისინი ტელეკამერების წინ ასამართლებდნენ და განაჩენი გამოჰქონდათ პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის. ოპოზიციონერი ჟურნალისტებისთვის წართმეული უფლებების ხარჯზე, დღითი დღე იზრდებოდა მათი უფლებები. თუმცა, აქაც არსებობდა გარკვეული იერარქია. ყველაზე დიდი უფლებები მოიპოვა მეთაურის საინფორმაციო სამსახურმა, შემდეგ ტელევიზიამ, ბოლოს კი პრესამ. "კარის" ჟურნალისტები უაპელაციოდ ლანძღავდნენ და ცილს სწამებდნენ კანონიერი მთავრობის მომხრეებს, შეურაცხყოფდნენ დევნილ მთავრობასა და პრეზიდენტს, დასცინოდნენ სასოწარკვეთაში და სიდუხჭირეში ჩავარდნილ ქართველ ხალხს. მათთვის არ არსებობდა არც პრესის კანონი და არც ჟურნალისტური ეთიკა. გვახსოვს, იმ პერიოდში საქართველოში ჩამოსული ქართველი ემიგრანტი, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაციაში საკმაოდ სოლიდური თანამდებობა უკავია, აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ოფიციალური პრესისა და ტელევიზიის მუშაკებმა შესანიშნავად შეითავსეს მესამე ხელისუფლების ფუნქციები და განუზომელი უფლებები მიიღეს მაშინ, როცა სასტიკად იდევნებოდნენ კანონიერების მომხრე ჟურნალისტები და განუკითხავად ილახებოდა მათი უფლებები.

ხუნტისადმი გამოცხადებული პროტესტის გამო უმუშევრად დარჩა ასობით ჟურნალისტი, თუმცა მათი გადაბირების მცდელობა არაერთხელ ჰქონია არსებულ ხელისუფლებას. ჟურნალისტთა ის ჯგუფი, რომელიც მუშაობდა არალეგალური პრესის გამოცემაზე, მრავალგზის იქნა დარბეული და დაპატიმრებული.

მას შემდეგ, რაც ჯაბა იოსელიანისა და "მხედრიონის" იზოლაციით ედუარდ შევარდნაძემ "დემოკრატიის მშენებლის" იმიჯი შეიქმნა, ოპოზიციონერ ჟურნალისტებს, ერთი შეხედვით, თითქოს მოქმედების უფრო მეტი საშუალება მიეცათ - მათ მიიღეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენის უფლება. ეს დიდი "წყალობა" გახლდათ მეთაურის მხრიდან, მაგრამ იმას როდი ნიშნავდა, რომ "ურჩ" ჟურნალისტებს თავისუფლად შეეძლოთ "პარპაში" და საკუთარი აზრების გამოთქმა.

მეთაურის მიერ ნაბოძები თავისუფლება რომ ილუზორული იყო, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა იმ პოლიტიკური სასამართლო პროცესების დროს, რომელთა სისტემატური გაშუქება და ანალიზი სცადა რამდენიმე ოპოზიციურმა გაზეთმა ერთდროულად.

ამჟამად მიმდინარე "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" სასამართლო სხდომებზეც ოპოზიციონერ ჟურნალისტთა დევნისა და შევიწროების არაერთი ფაქტი აღინიშნა. სასამართლოს დაწყებისთანავე განსასჯელებს ჟურნალისტებთან შეხვედრის ყოველგვარი უფლება ჩამოერთვათ. ამას მოწმობს ნუგზარ მოლოდინაშვილის 35 დღიანი შიმშილობაც. ჟურნალისტების შეშვება სასამართლოს შენობაში, მისი მსვლელობის ყველა ეტაპზე, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, რადიკალურად ოპოზიციური პრესა მაინც ახერხებდა მიმდინარე სასამართლო პროცესების სრულყოფილად გაშუქებას და მეტიც, ამ პროცესების გარშემო საზოგადოებრივი აზრის შექმნას.

როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, არსებული ხელისუფლების მხრიდან უფრო დიდი რისხვა დაატყდათ თავს იმ ჟურნალისტებს, რომლებმაც, პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, სცადეს ობიექტურად გაეშუქებინათ მიმდინარე სასამართლო პროცესი.

მათი დევნისა და დაშინების მცდელობის ფაქტს (იხ. "თავისუფალი საქართველო", #39, "ჟურნალისტები მოითხოვენ მათი უფლებების დაცვას") არაერთხელ ჰქონდა ადგილი. ალბათ, ერთგვარ განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ რადიკალურად ოპოზიციური პრესის წარმომადგენლების მხრიდან ამ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მწვავედ ნათქვამი სიმართლე ნაკლებ შეშფოთებას იწვევს, ვიდრე თავისუფალი ჟურნალისტის მიერ ობიექტურად გაშუქებული მოვლენები. რით არის ეს გაპირობებული? პირველ ყოვლისა იმით, რომ რადიკალურად ოპოზიციური პრესის მხრიდან რადიკალურად ნათქვამ სიმართლეს არსებული ხელისუფლება, ასე თუ ისე, მიეჩვია. ახლა მისთვის მთავარია, სიმართლის თქმა საყოველთაო მოვლენად არ იქცეს. არადა, ვინც იმ პერიოდის პრესას ადევნებდა თვალყურს, შეამჩნევდა, რომ ამ სასამართლო პროცესის გაშუქებაში ყველა გაზეთი ერთსულოვანი იყო.

სწორედ ამ ერთსულოვნების ეშინია ხუნტას და ამიტომ სიმართლის მთქმელს დაუყოვნებლივ "ზვიადისტად" ნათლავს. თუმცა, ამაშიც არის ერთგვარი ჭეშმარიტება.

ასეც რომ არ იყოს, რეალობა იმდენად ამაზრზენია, რომ ამას უკვე ყველა ხვდება, მიუხედავად პოლიტიკური პოზიციისა. თუ ვინ შექმნა ეს რეალობა, თვით ყველაზე თავგანწირულმა "ანტიზვიადისტმაც" კი იცის და იმასაც ხვდება, რომ ხვალ თუ ზეგ, ისევ და ისევ საკუთარი თავის დასაცავად, თვითონაც მოუწევს სიმართლის თქმა, როგორი აკრძალულიც არ უნდა იყოს ეს. ამიტომ ჯობს, ეს სიმართლე მაშინ ითქვას, სანამ მას კიდევ აქვს ფასი.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

# რა ხდება ენერგომომარაგების სისტემაში?

მოახლოვდა ზამთარი და საქართველოს მოსახლეობა კვლავ დადგა ყოფნა-არყოფნის წინაშე. ეს გაპირობებულია არამარტო იმ უდიდესი სიდუხჭირით, რომელსაც 8 ლარი პენსია და შესაბამისი ხელფასები ვერაფერს შველის, არამედ ელექტროენერგიის უსასრულო შეზღუდვებით. თუ ჭეშმარიტებას შეესაბამება ოფიციალური საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ცნობები იმის თაობაზე, რომ ენგურჰესის წყალსაცავში წყლის მარაგმა მოიმატა და ნიშნულის ზემოთ არის, მაშინ საკითხავია - რატომ დაიწყო ადრეული შემოდგომიდან ენერგიის გრაფიკით მიწოდება თბილისის რიგი მჭიდროდ დასახლებული უბნებისთვის და გახშირდა ავარიები ხაზებზე? უკვე ფსიქოლოგიურად დაძაბულ მოქალაქეებს თელასის განყოფილებებში ნიშნის მოგებით პასუხობენ: გადაიხადეთ საფასური და შუქი გექნებათო. ეს მორიგი სიცრუეა - საუკეთესო გადამხდელ უბნადაა გამოცხადებული გლდანის რაიონი, მაგრამ მათ ელექტროენეგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდებათ, ხოლო მინისტრმა ზუბიტაშვილმა, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ტელევიზიით განაცხადა, რომ საფასურის გადახდის საქმე გამოსწორდა და 6 პროცენტის ნაცვლად, 26 პროცენტს მიაღწია. მან მადლობა გადაუხადა მოსახლეობას პრობლემისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულებისთვის. ამავდროულად, ენერგომომარაგების სხვა პასუხისმგებელი მუშაკების სატელევიზიო გამოსვლებიდან ვიგებთ, რომ გარდაბნის გრესის ვერც ერთ ბლოკს ვერ ამუშავებენ ფინანსებისა და, შესაბამისად, საწვავის უქონლობის გამო. მაშ, სად მიდის გადახდილი თანხა, ან ვის აძლევს ხელს ეს დეფიციტი?

ამ საკითხებთან დაკავშირებით საუბარი "ელექტროელიტის" წარმომადგენლებთან აზრს მოკლებულია, რადგან სიმართლეს ამ გზით ვერ შევიტყობთ. უბრალო მოკვდავებთან - ელექტრომონტიორებთან, დისპეტჩერებთან, ინჟინრებთან მეგობრული საუბრებიდან შევაგროვეთ გარკვეული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მკითხველისთვის.

ადრე, თბილისში, ელექტროენერგიის საფასურის ამოღება ხდებოდა ენერგოგასაღების განყოფილებების მეშვეობით, რაც ელექტროენერგიის ღირებულების 15-20 პროცენტს აღწევდა. ამჟამად ხდება ქვესადგურების იჯარით გადაცემა კერძო პირებზე. იჯარით გაცემული ქვესადგურების რაოდენობამ თბილისში დაახლოებით 60 პროცენტს გადააჭარბა. ხელშეკრულების მიხედვით, ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ თანხების ამოღების გეგმა მინიმუმ 80 პროცენტით მაინც. თანხის 20 პროცენტი მოიჯარეს რჩება. თუ ეს პირობა არ შესრულდა, ხელშეკრულება ავტომატურად უნდა გაუქმდეს, ასეთი რამ კი, როგორც წესი, არ ხდება..ეს იმას ნიშნავს, რომ სად კვებავენ მცირე საამქროებს, რესტორნებს, საცხობებს და აღიზიანებენ ირგვლივ ხიბნელეში ჩაძირულ მოსახლეობას. მოსახლეობაც, მათი წაბაძვით, თვითნებურად ერთვება ამ კერძო კაბელებში, რაც ავარიებს იწვევს. საყურადღებოა ისიც, რომ არავინ იცის, სად მიდის ამ კაბელებით მოხმარებული ენერგიის საფასური. როგორც წესი, მათ არ უყენიათ მრიცხველი და მფლობელი გარკვეულ თანხას იხდის თვიურად.

არსებობს გარიგება ქვესადგურის მფლობელებსა და თელასის შესაბამის განყოფილებას შორის ისევე, როგორც ეს ადრე ხდებოდა ინკასატორსა და მოქალაქეებს შორის. ამგვარად, სავარაუდოა, რომ ახლა უკვე ქვესადგურების (და არა ცალკეული ბინების) მრიცხველები ტრიალებს უკუღმა. ამ პატარა, გამოცდილი ოინის წყალობით, როცა დახარჯული ელექტროენერგია ბევრად აღემატება აღრიცხულს, მოიჯარეებს შეუძლიათ უჩვენონ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული გადასახადის გეგმის შესრულება. არსებობენ პრივილეგირებული მფლობელებიც. მაგალითად, ცნობილია, რომ ორთაჭალჰესი არის ძლიერი მფარველობის ქვეშ, რის გამოც, გადახდილი თანხები პირველ რიგში მის ანგარიშზე ჯდება და მათ შეფერხებებიც ნაკლებად აქვთ.

პრივილეგირებული მფლობელების თანაბრად, არსებობს პრივილეგირებული ხაზებიც, რომელთა სისტემაში ჩართვაც ხდება გარკვეული საფასურის შედეგად. მაგრამ თუ ადრე ასეთი "დაკიდული" გაყვანილობის საფასურს უხდიდნენ ინკასატორებს, ახლა ეს თელასის რაიონული განყოფილებების პასუხისმგებელი პირების დონეზე ხორციელდება. ამასთან, ქალაქის ზეცა დაქსელილია უკვე არამარტო მცირედიამეტრიანი ან "საველე" მავთულებით, არამედ მაჯის სიმსხო ოთხწვერიანი შავი კაბელებით, რომლებიც გადის სახლების სახურავებზე, ხეებში, ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევით. ისინი უმეტე-

ელექტროხაზების ქაოსში და ბუნებრივი აირის უქონლობით გამოწვეული გადატვირთვების გამო, ხშირია დაზიანებები, რომელთა შეკეთება მავანთათვის დამატებითი უხვი შემოსავლის წყაროა. სარემონტო სამუშაოების შესრულებისას ივსება ფორმა #2, რომელშიც თანხების გადაჭარბებით მითითების პრაქტიკა ადრეც არსებობდა. ამჟამად ამას დაემატა საბაზრო ეკონომიკის სიკეთე და სამუშაოს ჩამტარებელს შეუძლია არამარტო გადარიცხვით, არამედ ხელზეც შეიძინოს საჭირო მასალები და მიუთითოს საბაზრო ფასები. მართალია, ამას ხელს უნდა აწერდეს რამდენიმე პირი და შემდგომ შეიძლება შეამოწმოს საგადასახადო ინსპექციამ, მაგრამ მოუსყიდველნი არც ისინი არიან.

არსებობს მანიპულირების უკეთესი საშუალებაც. მაგალითად, კაბელი ბაზარზე ღირს 3 ლარი, მას კი ყიდულობენ გადარიცხვით 6,5 ლარად, რომლის ნაწილი, დავუშვათ 1 ლარი, მყიდველს ეკუთვნის და, მოლაპარაკების მიხედვით, უბრუნდება მას უკვე ცოცხალი ფულის სახით. რემონტისთვის საჭირო ასეთი მასალების ნუსხა კი ძალიან დიდია.

გარდა აბონენტთან გარიგებით მრიცხველის უკან დაბრუნებისა, არსებობს საპირისპირო ხერხიც. ესაა მრიცხველის ან მისი გაყვანილობის საგანგებო დაზიანება, რის აღმოჩენისასაც აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს 24 საათიანი სრული დატვირთვის საფასური, ეს 4-5-ჯერ აღემატება რეალურს. ამ მიზნით ხშირია კიოსკების საკეტის გატეხვა, მათში შეჭრა და ხაზების ჩაჭრა, რასაც აკეთებენ ხოლმე ქვესადგურების მოიჯარეები, რითაც 1000 -ობით ლარს "შეაწერენ" მეპატრონეს ... სავით ახლად გამოჩეკილ კერძო მეწარმეს.

ყველას ემახსოვრება, შარშან პარლამენტის სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანიდან მიღებული ელექტროენერგია საქართველოს ნაცვლად მიეწოდებოდა სომხეთს ნაღდი ფულის საფასურად. საინტერესოა, ელექტრომაფიამ ნეტავ უარი თქვა გამდიდრების ამ გზაზე?

რაგინდ არ უნდა უჭირდეს მოსახლეობას, ფაქტია, რომ იგი თანახმაა გადაიხადოს ბუნებრივი აირის თვიური გადასახადი, რომელიც 5 ლარს არ აღემატება. უმრავლესობა ასევე პატიოსნად გადაიხდიდა ელექტროენერგიის საფასურს რეალური დანახარჯის - მრიცხველის მიხედვით. უბრალოდ, ფასი შესაბამისი, ანუ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამიტომ, არაკები გადამხდელუუნარობის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. მთავარი ისაა, რომ თუ შეზღუდვა არ იქნება, არ იქნება პრივილეგირებული ხაზები, არალეგალური გაყვანილობები, უსაფრთხოების წესების დარღვევა და ამის დაფარვის აუცილებლობა, გადატვირთვები და მის შედეგად ავარიები, ხაზების შეკეთებაზე გაფორმებული გადაჭარბებული თანხები, კილომეტრობით ზედმეტი კაბელისა და მავთულის გასაღება და, საერთოდ, თუ ჩვენი სიცოცხლე არ იქნება "ენერგობოსების" ხელში, ისინი ხომ დაკარგავენ ოქროს მდინარეს, რომელიც მათ ჯიბეებში ჩაედინება და შემდეგ რეალიზდება უცხოური ფირმის მანქანებში, ახალ სახლებში, სასტუმროებსა და რესტორნებში. ამიტომ, ელექტროენერგიის დეფიციტი ამ სისტემაში ყველას ხელს აძლევს - მინისტრსაც და 30 ლარი ხელფასის მქონე მონტიორსაც. კიდევ უფრო აუცილებელია ეს დეფიციტი უმაღლესი ხელისუფლებისთვის, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ზღაპარში, რომელშიც ურჩხული დარაჯობს წყაროს და ადამიანებს აძლევს წყალს მხოლოდ დარჩეულ ქალ-ვაჟთა სიცოცხლის საფასურად. აქედან გამომდინარე, მუდმივად უნდა არსებობდეს პურის, აირის, წყლის, ელექტროენერგიის, ეროვნული შემოსავლის დეფიციტი, რათა დაუძლურებული, გადაქანცული მოსახლეობის ყილაჯო დუმილის ფონზე, ურჩხულმა პატიმრების, ლტოლვილების, მოხუცების თუ ნარკოტიკით დაბანგული ახალგაზრდების სიცოცხლე შთანთქას.

*ზურაბ ჩაჩავა*

*TAVISUPALI SAKARTVELO*

*N 41 in brief*

*19 - 25 November, 1996*

## When the Witness Gela Katsarava is Speaking the Truth?

A press-conference was held in the Prosecutors Office in the course of which the Deputy Prosecutor General Mr. Anzor Baluashvili presented the journalists with Mr. Gela Katsarava, the well-known witness in "Zviad Gamsakhurdia and His Supporters Case". It seems, the Prosecutor's Office Press-Center decided to choose the journalists to be invited on a certain selective basis and evidently for this very reason the journalists of some newspapers including the journalists who had recently interviewed Gela Katsarava in Khobi were not informed about the press-conference. It is rather strange considering the fact that this measure was undertaken by the Prosecutor's Office with the sole aim to refute this interview. And indeed it was a measure since as the "Rezonansi" newspaper (#204, of 24.10.96) is informing G. Katsarava again was escorted to the press-conference by the policemen and was again claiming that he had eye-witnessed how Vakhtang Kobalia shot down the journalist David Bolkvadze. Katsarava turned down the interview he has given to the journalists according to which he testified against Mr. Kobalia under the physical and psychological pressure to which he was subjected both in the police-station of Khobi and the Ministry of Internal Affairs as well as in the house of judge Aladashvili.

"I have not been at the judge's house, I do not know where it is. Neither have I given any interview to anybody... How can I be confronted with a tape records of what I had never said?+, claims Mr. Katsarava. While the correspondent of the "Droni" newspaper informs (#83, of 25-29.10.96) that the newspaper "Akhali Taoba" has the taped record of Mr. Gela Katsarava's interview which he himself heard to be played back.

Thus, the witness together with the Prosecutor's Office again faced the controversy: if the witness had not given any interview where does the record come from? May be it was better to claim as he had earlier that the "Zviadists" forced him to say what he said. But it seems the Prosecutor's Office feels that on the background of their measure even the danger of the "Zviadists" fades out.

We have never doubted the after the interview with Katsarava the prosecution would undertake the respective measures and that was the reason of our statement made at the press-conference held by the non-governmental organizations "Former Political Prisoners for Human Rights" and "Helsinki Citizens' Assembly" in which we claimed that the witness Gela Katsarava needs public defense and appealed to the leaders of these organizations and journalists to meet the terrorized witness and provide the conditions for him to give an unbiased testimony to find out the objective truth.

Similarly strong impression was left by the following statement of Mr. Anzor Baluashvili: "Had I myself eye-witnessed the murder I would have never told you about it" which was followed by his addressing to Katsarava: "The people like you save our motherland+. Should we understand it that provided the Deputy Prosecutor General was a witness he would not have saved his motherland?!

Today it is already obvious that at this Court Hearing by bringing the color-blind, short-sighted, mentally diseased persons or citizens who while interrogated were beaten by the local policemen as false witnesses, the Prosecutor's Office and Court brought to light the system which is based on the criminal practice and which can prove any citizen guilty in committing any kind of crime contrary to any logic and reality.

*Anna Chavchavadze*

## Journalists Demand to Defend their Rights

On October 31 the journalists who had taken the interview from Mr. Gela Katsarava held a press-conference and informed their colleagues that after they had published the interview with Gela Katsarava they were subjected to the threats and psychological pressure. Ms. Tamar Batiashvili ("Dro" newspaper) and Ms. Maia Ivanelashvili ("Akhali Taoba" newspaper) expressed their surprise at not being invited at the Prosecutor's Office press-conference to confront Mr. Katsarava.

"We, as the journalists, were attending this Court Hearing and in our publications we were reflected everything which was happening there. We did not take the side of any party and did not expressed the interests of any of them. It was simply the fact that we, like the Court became aware of the statement of Gela Katsarava's mother which said that her son was forced to give testimonies against Mr. Loti Kobalia under the physical pressure. After that statement Mr. Katsarava did confirm at the Court Hearing the guilt of Mr. Kobalia. Our interest to find out the truth was only natural. So we went to Khobi. met Mr. Katsarava and his parents. As he old us he was subjected to the pressure both at the local police station, Ministry of Internal affairs and at judge Aladashvili's house. We published only what was said by Mr. Katsarava himself."

After this the attending journalists were presented with the audio-record of the interview given by Mr. Katsarava in which the witness was describing how he was forced to give false testimony at the Court Hearing. The voice of the witness is overlapped with the excited exclamations of his mother who as it became evident had not been aware herself what exactly her son testified at the Court Hearing and what methods were used on him to make him to testify as he did.

Ms. Zaira Mikatadze ("Rezonansi" newspaper) stated: "The very fact that the witness one time claims one thing and another time the other invites suspicion and this undoubtedly deserves our attention."

At the press-conference it was stated that the Prosecutor's Office and the Court for some reasons doubted the right of independent press to take the interview from the persons who were interrogated tat the Court Hearing as witnesses, while at the Court Hearing a video-interview taken by the correspondent of "Matsne" TV information program from one of the witnesses in the course of preliminary investigation, in the presence of the Prosecutor's Office personnel was used by the Court as a proof.

*Irakli Dgebuadze*

## Is Georgia Ready to Abolish death Penalty?

On November 15 the Parliament for the second time discussed the issue of appointing public defender and the candidate presented by Shevardnadze was not approved again. Earlier when discussing the candidature of Chairman of the State Human Rights Committee Mr. Alexandre Kavsadze, the deputies nearly blamed him of high treason after which he for a considerably long period was on leave.

This time two candidates were presented: from the Citizen's Union and Shevardnadze - Mr. Giorgi Khutsishvili who was performing as a deputy of Mr. Alexandre Kavsadze and is famous as a person in attendance of Shevardnadze and the candidate from the National-Democratic Party Mrs. Marika Bagdavadze. It is noteworthy that both considering the party juncture were holding to opposite positions.

To Mrs. Bagdavadze's opinion the person should be considered as political prisoner if he had committed crime for political reasons which in itself does not imply release of such persons. She is the advent for abolishment of death penalty since being vegetarian she feels strongly against eating meat. Did the candidate in the first half of her statement hinted to the activities of the late leader of her party since 1991 and in the other - to the State cannibalism reigning in Georgia?

Answering the same questions Mr. Khutsishvili stated that there were not political prisoners in Georgia and the death penalty should be abolished only if the society was ready for it. It seems, the "Citizens" believe that at the beginning of the century and especially as in 12th century when the death penalty was abolished in Georgia the society was more ready for this humanistic action than today. Eventually, 107 votes in favor of Mr. Khutsishvili proved to be insufficient for him to win. On the other hand Mrs. Bagdavadze with 50 votes managed to defeat the candidature presented by the ruling clan. Some of the observers believe that this was the result of lobby non-coordination which was responsible for the fact that part of the Shevardnadze-oriented deputies voted against his protOgO. At the same time, it seems that the nomenclature image of Khutsishvili and his connections with Kavsadze's Committee where he was directly in charge of relations with international organization, causes a certain irritation in the youth guards of the "Citizens+. However it is rather strange that he himself gave a negative estimation to the activities of the Committee in this very sphere having made the notorious Mr. Kavsadze responsible for all failures.

The part of the deputies was excited by the peremptory statement of Mr. Khutsishvili such as the elections appointed by Ardzinba in Abkhazia were a positive phenomenon since they open the way for some progressively thinking people to penetrate into the ruling bodies of the separatists, thus providing them the opportunity to carry out their policy. This idea stirred the irony of some Parliamentarians and strong resentment of the deputies from the fraction "Abkhazia."

## The Death of Valeri Physun Paves the Way for Dangerous Precedent!

Such is the opinion of the Human Rights Commission of Helsinki Union of Georgia which expresses its concern about a sudden death of Valeri Physun in the Ksany Colony. In the course of Court hearing V. Physun was systematically complaining of heart disease and more than once demanded to be rendered medical aid. His statements were either not accepted by the respective bodies including the judge of Didube district Court Mr. Soso Kherkheulidze or rejected under absolutely unforgivable motives. Irrespective of this Human Rights Commission of Helsinki Union does not exclude the possibility that the fatal outcome was not caused by ignoring the health state of the prisoner only, since the direct participant of the political events of recent past, the citizen of Russia, V. Physun was an undesirable witness for the wide influential circles both in Georgia and Russia. It is evident, that under the conditions of the existing penitentiary system in our country objective post-mortem examination of the late prisoner is absolutely impossible. To this testify the fact that the correspondents of the independent newspapers were not allowed to see the corpse. "Whatever the true cause of death might be the Human Rights Commission of Helsinki Union of Georgia believes that this case represents the most dangerous precedent and allows the ruling regime to introduce a new practice of liquidation of the undesirable persons, political opponents and witnesses+, reads the statement published by the Commission.

## The fate of the Political Prisoner Mr. Zurab Tsirgvava is Unclear

As it became known to us, Mr. Zurab Tsirgvava who was arrested in 1992 in relation with the so-called "Kavsadze's Kidnapping Case" and whose mental health was deteriorated as a result of tortures in the course of preliminary investigation due to which fact he was not tried, a week ago was transferred to Tbilisi #1 Isolator from the Mental Diseases Hospital. On last Wednesday he had to be presented to a special Commission in the Mental Diseases Hospital but for some reasons unknown his examination was postponed for November 20. It seems, depending on the decision of the medical commission the case of Mr. Zurab Tsirgvava either will be sent for Court hearing or he will be again returned to the Mental Diseases Hospital in Poty.

It is striking that the prisoner who has been kept for so long time in the Mental Diseases Hospital due to mental disorders was transferred not to the Republican Hospital of the Ministry of Internal Affairs but to the preliminary investigation isolator the conditions of which are such that they can cause the danger of mental stress even for healthy persons to leave alone a mentally diseased patient.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
Editor in Chief TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი # 227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Ceorgia